estdev
From the people of Estonia

ESTONIAN REFUGEE COUNCIL

Mtskheta-Mtianeti Regional Hub

იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებების კვლევა

2023

© Mtskheta-Mtianeti Regional Hub

კვლევა ჩატარდა პროგრამის “სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება - დევნილთა და ლტოლვილთა ხმა საქართველოში” ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ესტონეთის ლტოლვილთა საბჭოსა და ესტონეთის საერთაშორისო განვითარების ცენტრის შეხედულებებს.

სარჩევი

სიტუაციური ანალიზი	4
კვლევის ტექნიკური ნაწილი	7
კვლევის მიზნები	7
კვლევის დიზაინი	8
საველე სამუშაოების მახასიათებლები	9
ძირითადი მიგნებები	10
საცხოვრებელი ადგილი და საყოფაცხოვრებო პირობები	13
ორგანიზაციის წარმომადგენლები განსახლების პროცესის შესახებ	31
ინფორმირებული გადაწყვეტილება	34
საბინაო საჭიროებების შესახებ ინფორმირებულობა	36
ინტეგრაცია	39
ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოსაზრებები	45
დაბრუნება	46
დასაქმება და განათლება	50
სხვა დამატებითი საკითხები	60
რეკომენდაციები	64

1. სიტუაციური ანალიზი

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, 2023 წლის მონაცემებით, სულ რეგისტრირებულია 92 000 დევნილი ოჯახი, ჯამში 292 887 იძულებით გადაადგილებული პირი.[1] „იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.“

სააგენტოს ვებ-გვერდზე მოცემულია ჩანაწერი, რომლის შინაარსი სხვადასხვა ფორმულირებით, წლების განმავლობაში არაერთი სახელმწიფო სტრუქტურისა თუ სახალხო დამცველის წლიურ და სპეციალურ ანგარიშებში მეორდება - დევნილებზე ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება[2], სახელმწიფოს გაცხადებული პრიორიტეტია.

დევნილთა საკითხებთან დაკავშირებული ყველა ოფიციალური დოკუმენტი, სტატია, რეზოლუცია, კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს დევნილთა განსახლების პირობებზე, მიუხედავად მათი ზოგადი მიზნისა - ეხება დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ, უფლებრივ, ინტეგრაციის საკითხებს, თუ საკუთრივ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესს.

დევნილთა საკითხებზე, საწყის, ძირითად მარეგულირებელ აქტს წარმოადგენს 1996 წლის საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“, რომლის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ის ემყარება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ამასთან, საქართველო ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, რომელსაც სპეციალური ეროვნული კანონმდებლობა აქვს იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2009 წლის 29 დეკემბერს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების საკითხებზე გაეროს დანართში „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გრძელვადიანი გადაწყვეტის ჩარჩო-პრინციპები“ (Framework on Durable Solutions for Internally Displaced Persons) აღნიშნულია, რომ გრძელვადიანი გადაწყვეტის ერთ-ერთი პირობა დევნილთა დისკრიმინაციის გარეშე ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაა.[3]

2016 წლის სახალხო დამცველის ანგარიში „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა“[4], შეიცავს ჩანაწერს დოკუმენტიდან „უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის სქემა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის შესახებ“, სადაც აღნიშნულია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა კონკრეტული საჭიროებები და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები კონფლიქტის ან სტიქიური უბედურებების დასრულებასთან ერთად ავტომატურად არ ქრება. არც მაშინ მთავრდება, როდესაც ეს ადამიანები, საწყის ეტაპზე, მიმდინარე კონფლიქტისგან დაცულ ადგილას აფარებენ თავს. მათ სჭირდებათ მხარდაჭერა მანამ, სანამ ამ პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა არ მოიძებნება.[5]

1 https://shorturl.at/hluzM
2 https://shorturl.at/hluzM
3 https://shorturl.at/DLRS5
4 https://shorturl.at/ahpCS
5 უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის სქემა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის შესახებ.

იგივე სქემის მიხედვით, გრძელვადიანი გადაწყვეტა მიღწეულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც იძულებით გადაადგილებულ პირებს აღარ სჭირდებათ იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული დახმარება და დაცვა, შეუძლიათ ისარგებლონ ადამიანის უფლებებით მათი დევნილობის ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნული მიიღწევა შემდეგი გზებით: (1) მუდმივ საცხოვრებელ ადგილას მდგრადი რეინტეგრაციით (დაბრუნების უფლება), (2) თავშესაფარ ადგილებში რეინტეგრაციით (ადგილობრივი ინტეგრაცია) ან (3) ქვეყნის სხვა ნაწილში განსახლებით.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის ანგარიშში ხაზგასმით ციტირებულია გაეროს მიერ 2005 წ. 28 ივნისს მიღებული დოკუმენტის ე.წ. „პინეიროს პრინციპების“ 2007 წლის იმპლემენტაციის „საცხოვრებლისა და საკუთრების რესტიტუცია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის“ მნიშვნელოვანი დებულება, რომ იძულებით გადაადგილებული პირების განსახლების ვალდებულება უპირველესად აქვს სახელმწიფოს. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ პრინციპებს არ გააჩნია კონვენციური ხასიათი და სახელმწიფოებისთვის სამართლებრივ ვალდებულებას არ წარმოადგენს, აღნიშნული პრინციპები დაფუძნებულია საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული სამართლის წყაროებზე. პრინციპები შექმნილია გაეროს ექსპერტების მიერ და უნდა გაითვალისწინონ გაეროს წევრმა ორგანიზაციებმა.[6]

შესაბამისად, ზემოაღნიშნულ საერთაშორისო პრინციპებს ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობაც. ყველა დევნილს აქვს უფლება ისარგებლოს სათანადო საცხოვრებლით საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო სახელმწიფოს აქვს ვალდებულება ყოველი დევნილი უზრუნველყოს ასეთი საცხოვრებელით.[7]

მიუხედავად დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართ მხარდაჭერისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვის პრიორიტად გაცხადებისა, მიმდინარე პერიოდამდე საკითხთა დიდი ნაწილი კვლავ გამოწვევების წინაში დგას.

მაგალითად, დევნილთა სააგენტოს ცნობით, წლების განმავლობაში, იძულებით გადაადგილებული ოჯახების განსახლების პროცესის მთავარ ხარვეზს, წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ არ არსებობდა საცხოვრებლით უზრუნველყოფის რაიმე წესი ან ნორმა. 2013 წელს, უწყებათაშორისმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში სამინისტროსა და სხვა სამთავრობო უწყებებთან ერთად, სახალხო დამცველის აპარატის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიოდნენ, დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების კრიტერიუმები შეიმუშავა. 2013 წლიდან დღემდე, სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, კრიტერიუმების შესაბამისად, საცხოვრებელი ფართი 32 000-მდე დევნილმა ოჯახმა უკვე მიიღო.[8] 2019 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ არსებული პროგრამების დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ქოლგის ქვეშ მოქცევის გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა ეფექტიანობის კიდევ უფრო გაზრდას, იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებას.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში დევნილების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მაჩვენებელმა იმატა, ათიათასობით ოჯახი საცხოვრებელ ფართს დღემდე ელოდება. სააგენტოს პროგრამების მრავალფეროვნება (რეგიონებში მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები, „სოფლად სახლის“ პროექტი, ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართების შესყიდვა, საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა/დაკანონება, ფულადი კომპენსაციები[9]) და ინფორმაცია ერთი შეხედვით, ოპტიმისტურ სურათს ქმნის, თუმცა, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, პროგრამების შესრულების

6 https://shorturl.at/dnpK9
7 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ, 06/02/2014, საქართველოს პარლამენტი, მუხლი 12 „დევნილის უფლებები და მოვალეობები“, 14 „დევნილის საცხოვრებელ ფართობთან დაკავშირებული უფლებების დაცვა“.
8 https://shorturl.at/cfiuA
9 https://rb.gy/lhqrmx

მართლზომიერების, ვადების დაცვის, სტანდარტებთან შესაბამისობისა და უშუალოდ, დევნილთა პროცესებში გათვითცნობიერებულობის დონის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად ამყარებს ეჭვის საფუძველს პროცესის კიდევ უფრო გახანგრძლივების შესახებ.

სახელმწიფოს ოფიციალური მიდგომა, რაც კანონმდებლობითა და მრავალი სამართებრივი აქტით არის გამყარებული, წლების განმავლობაში ირღვევა, რადგან პერმანენტული ხასიათი აქვს დევნილთათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გადანაწილებისას მათ საჭიროებებზე მორგებული პრიორიტეტების შესწავლისა და გათვალისწინების დაბალ დონეს.

2022 წლის სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ დევნილთა მიმართ ამჟამად არსებული, იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსზე მიბმული მონეტარული დახმარება და ასევე სტატუსზე მიბმული საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულების პოლიტიკა ხარვეზიანია და ადასტურებს ამ საკითხის გადაწყვეტისა და უფრო ეფექტიან, საჭიროებებზე მორგებულ სისტემაზე გადასვლას. მითითებული ცვლილებები, შესაძლოა, იყოს ამ პოლიტიკისაკენ გადადგმული ნაბიჯი, რომლის პრაქტიკაში განხორციელებას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი გაუწევს ზედამხედველობას.[10]

მნიშვნელოვანი ფაქტორია დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა, რაც იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის N2.3. პუნქტით განისაზღვრება და გულისხმობს კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში დევნილთა ინფორმირებულობის და ცნობიერების დონის გაზრდას მათთვის ხელმისაწვდომ პროგრამებზე, იურიდიულ კონსულტაციებზე დევნილთა ხელმისაწვდომობას და სამოქმედო გეგმაში მათი ჩართულობის ხელშეწყობას. დევნილთა ცნობიერების ამაღლების აქტივობები გათვალისწინებულია კომუნიკაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია დევნილთა ინფორმირება მათთვის განკუთვნილი პროგრამების შესახებ, რათა გაიზარდოს დევნილთა ჩართულობა აღნიშნული პროგრამების შემუშავების პროცესში და სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისების დროს დევნილებს შეეძლოთ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება.[11] აღნიშნული ჩანაწერი განმარტავს და ამყარებს სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიზანს დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების მხარდაჭერისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩაბმის შესახებ.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომი იყოს, მინიმუმ, სტრატეგის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ძირითადი მცნებების აღსრულების მექანიზმებისა და შესაბამისი ინსტრუმენტები და გარდაუვალი მნიშვნელობის, დევნილთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის შედეგებზე ორიენტირებული ინფორმაცია, როგორც სამოქმედო გეგმის ეფექტურობის საზომი ინსტრუმენტი.

არსებული ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ წლებთან ერთად, ირღვევა დევნილთა საკითხების პრიორიტეტულობის ხარისხი. სახალხო დამცველის ანგარიშებში, დევნილთა საკითხები ანგარიშების ბოლო გვერდებზე რამდენიმე აბზაცით არის განხილული, მიუხედავად იმისა, რომ აქცენტები სხვადასხვა ქმდებების განხორციელებისას, ხარვეზებზე კვლავ მსუყედ კეთდება, მწირია მასშტაბური კვლევები დევნილთა საჭიროებებზე, არ არის სრულყოფილი დევნილთა სტატისტიკური მაჩვენებლები, განსაკუთრებით ურბანული თუ გეოგრაფიული გადანაწილების მიხედვით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მრავალკომპონენტიანი ჯაჭვის რღვევის რისკ-ფაქტორების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან, კომპლექსური ეფექტური მიდგომების უზრუნველყოფა, მის მიერ აღიარებული პრიორიტეტების დროულად აღსრულებისთვის.

10 https://rb.gy/3i1nel

11 იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობა, 13/02/2017

2. კვლევის ტექნიკური ნაწილი

2.1 კვლევის ტექნიკური ნაწილი

მოცემული ანგარიში წარმოადგენს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შექმნილ ერთიან დოკუმენტს.

კვლევის მეთოდების ტრიანგულაცია, რომელიც აერთიანებს პირველადი მონაცემების დამუავებასთან ერთად, მეორადი მონაცემების ანალიტიკით კვლევის ანგარიშის შევსებას (სამაგიდე კვლევა), ავლენს სხვადასხვა სისტემურ, პრაქტიკულ, ეკონომიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორს, რომელთა ერთობლიობა ქმნის დევნილთა გამოწვევების საერთო სურათს და აფერხებს მათ ეკონომიკურ განვითარებას.

აღნიშნული გამოწვევები არ გულისხმობს რომელიმე კონკრეტულ სამართლებრივ (საკანონმდებლო) ან ფიზიკურ ბარიერს, არამედ მათ ერთობლიობას.

კვლევაში ასახული ტენდენციები წარმოადგენს მკვლევარის მიერ შექმნილ დოკუმენტს და იძლევა კვლევის მიზნების შესახებ ინდივიდუალური და ზოგადი დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაციას, თუმცა, რესპონდნეტთა შერჩევის ზომიდან გამომდინარე, კვლევის შედეგებს არ აქვს პრეტენზია რეპრეზენტარულობაზე. ამასთან, თვისებრივი კვლევის შედეგებში, მონაცემთა გარკვეული ნაწილი შესაძლებელია არ ვრცლდებოდეს თემის ყველა წევრზე, როგორც აქტუალური ან პრიორიტეტული, თუმცა, მკაფიოდ ასახავდეს კვლევის მიზნებთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხის სიმწვავეს.

2.2 კვლევის მიზნები

კვლევითი პროექტი მიზნად ისახავდა კვლევის, კერძოდ, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის - ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებას დედაქალაქსა და საქართველოს რამდენიმე რეგიონში მაცხოვრებელ საქართველოში რუსეთის აგრესიის (1990-1993 და 2008 წლებში) შედეგად გაჩენილი იძულებით გადაადგილებულ პირებთან და უკრაინელ ლტოლვილებთან და იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთა საქმიანობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს დევნილთა და ლტოლვილთა საჭიროებებთან დაკავშირებული საკითხები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში რუსეთის აგრესიის (1990-1993 და 2008 წლებში) შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა და უკრაინელ ლტოლვილთა საჭიროებების იდენტიფიცირება. აღნიშნული თემის საკვლევად გამოიყო შემდეგი ერთეულები:

- შერჩევაში მოხვედრილ იძულებით გადაადგილებულ პირთა და უკრაინელ ლტოლვილთა საცხოვრებელი პირობების, მათი სოციალური მდგომარეობისა და დევნილობაში/ლტოლვილობაში გატარებული პერიოდის დაწვრილებითი აღწერა;

- რესპონდენტთა შემოსავლების, დასაქმების პირობებისა და ზოგადად, ეკონომიკური მდგომარეობის კვლევა;

- ჯანდაცვის სფეროში მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობა და საჭიროებების აღწერა;

- რესპონდენტთა განათლების მიღების ხელმისაწვდომობა, არსებული საჭიროებები და გამოწვევები;

- მოსაზრებებისა და არგუმენტაციის გამოვლენა, რომლითაც ოპერირებს სამიზნე აუდიტორია, როდესაც საუბრობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობასა და ინტეგრირებაზე;

- საცხოვრებელი ადგილისა და დასახლების ტიპის შესახებ მათი მოსაზრებებისა და სურვილების კვლევა;

- დევნილთა და ლტილვილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ზოგადად, ყოფითი ცხოვრების გაუმჯობესების, მათი საჭიროებების უზრუნველსაყოფად რეკომენდირებული საკითხები.

2.3 კვლევის დიზაინი

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდით, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში და გორში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები და სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

რაოდენობრივი კვლევა - რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 250 ინტერვიუ დევნილებთან. აქედან 170 ინტერვიუ ჩატარდა 1990-1993 წლების დევნილებთან და 80 ინტერვიუ - 2008 წლის ომის გამო დევნილ მოსახლეობასთან.

რაოდენობრივი კვლევის ინტერვიუებისთვის რესპონდენტები შეირჩა „თოვლის გუნდის“ პრინციპით. რესპონდენტს წარმოადგენდა 18+ ასაკის დევნილი მოსახლეობა.

რაოდენობრივი კვლევის კითხვარები შემუშავდა დამკვეთთან შეთანხმებით. საველე სამუშაოების შემდეგ, შევსების შედეგად მიღებული მონაცემები შევიდა და დამუშავდა SPSS-ში. ისინი ანგარიშში წარმოდგენილია როგორც გრაფიკების/ცხრილების, ასევე ვერბალური ინტერპრეტაციების სახით. რაოდენობრივი კვლევის მონაცემებს არ აქვს პრეტენზია რეპრეზენტატულობაზე, შერჩევის მცირე ზომიდან გამომდინარე, თუმცა, სამიზნე აუდიტორიისთვის აქტუალურ საკითხებს მკაფიოდ ასახავს. ამასთან, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ტენდენციები თითქმის ერთგვაროვანია.

თვისებრივი კვლევა - სულ ჩატარდა 5 ფოკუს ჯგუფი, აქედან 2 ფოკუს ჯგუფი - აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ პირებთან, 1 ფოკუს ჯგუფი 2008 წლის ომის დროს დევნილ პირებთან, 2 ფოკუს ჯგუფი უკრაინიდან საქართველოში ლტოლვილ პირებთან. ამასთან, ჩატარდა 25 სიღრმისეული ინტერვიუ: 8 სიღრმისეული ინტერვიუ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთა საქმიანობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს დევნილთა საჭიროებებთან დაკავშირებული საკითხები, 7 სიღრმისეული ინტერვიუ დევნილებთან.

საკითხის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, რესპონდენტთა რეკრუტირებისთვის გამოყენებულ იქნა ე.წ ,,თოვლის გუნდის'' მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს მკვლევრისადმი სანდოობის მაღალ ხარისხსა და რესპონდენტების გულწრფელობას.

ფოკუს ჯგუფის საშუალო ხანგრძლივობა წარმოადგენდა 1.5 საათს, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა – 60-80 წუთი. თვისებრივი კვლევა ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ გამოკითხვის საფუძველზე.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი-გზამკვლევი (Guide-line), რომელიც შედგებოდა საკითხების (თემების) ჩამონათვალისაგან. ისინი გამოიყენებოდა როგორც ზოგადი სახელმძღვანელო ორიენტირი. თვისებრივი კვლევის მიმდინარეობის პროცესში კითხვარი მოდიფიცირდა ინტერვიუს კონტექსტის თავისებურებების გათვალისწინებით.დევნილებთან.

2.4 საველე სამუშაოების მახასიათებლები

თვისებრივი კვლევის საველე სამუშაოების შედეგების ტექნიკური და შინაარსობრივი მახასიათებლების აღწერა, მნიშვნელოვანია, ანგარიშის ძირითად ნაწილში მოცემული საკითხების მეტი სიცხადით აღქმისთვის.

- მიუხედავად იმისა, რომ თვისებრივი კვლევის სახელმძღვანელო ინსტრუმენტები მინიმალურად შეიცავდა კითხვებს წარსული პერიოდიდან და მეტად ორიენტირებული იყო აწმყოზე, სამომავლო მოლოდინებსა და საჭიროებებზე, იძულებით გადაადგილების დროს მიერ განვლილი რთული გზა რესპონდენტების საუბრის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენდა. ეს გამოცდილება საზიარო იყო თითქმის ყველა კვლევაში ჩართული პირისთვის (ახალგაზრდების გარდა). მიუხედავად წარსულის ზოგად ჭრილში მიმოხილვისა, რესპონდენტები ხაზგასმით აკეთებდნენ აქცენტს მათი ცხოვრების ყველა ასპექტის ცვლილების თაობაზე, რაც გულისხმობს დევნილობის საწყის ეტაპზე სხვადასხვაგვარ პრობლემებთან თანაცხოვრებას: მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, საცხოვრებელი ფართის ძიებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, განათლების მიღების გამოწვევებზე, გაუცხოებაზე, სოციალური ურთიერთობების აღდგენასა თუ ახალი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.

- უშუალოდ ინტერვიუირების პროცესი გამოირჩეოდა მაღალი ჩართულობით და გულახდილობით – საუბრობდნენ ყველა სახის არსებულ პრობლემებზე, საკუთარ მოლოდინებზე და სხვადასხვა მიმართულებით „მიღებულ შედეგებზე“. აყალიბებდნენ თითოეული საკვლევი საკითხის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას, დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებით. რესპონდენტები თავად განამარტავდნენ, რომ დისკუსიაში მათი ჩართულობა და ინტერესი პრობლემების სიმწვავითა და ამ პრობლემებით დაინტერესებული მხარის გამოჩენით იყო გამოწვეული.

- კვლევის მიმდინარეობისას რესპონდენტთა მხრიდან მოწოდებული ინფორმაცია, რიგ შემთხვევაში არ აღწერდა პირად მდგომარეობას ან საჭიროებას. იქიდან გამომდინარე, რომ თვისებრივი კვლევა თავისი სპეციფიკით არ არის მოცულობითი, კოლექტიურ ან ინდივიდუალურ სურვილებსა და საჭიროებებზე აქცენტები, ზოგადად, დევნილებისთვის ერთგვარ, მხარდაჭერის ფორმას წარმოადგენდა, გარდა იმისა, რომ დისკუსიას მეტი ინფორმაციულობით უზრუნველყოფდა.

- ანგარიშში მოცემული თითოეული მოსაზრება განზოგადებულია დევნილებსა და უკრაინელ ლტოლვილებზე. მოსაზრებები არ განიხილება ინდივიდუალურად რეგიონის, კონკრეტული ქალაქის ან კვლევის მონაწილე პირთან მიმართებაში, არსებულ პრობლემათა საერთო ხასიათისა და თვისებრივი კვლევის სპეციფიკის გამო.

3. ძირითადი მიგნებები

- დევნილთა ჯგუფები არ დგანან ერთი ცალკეული პრობლემის წინაშე. მათი მდგომარეობის სიმძიმე კომპლექსურია. დროთა განმავლობაში იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები ნელი ტემპით იცვლება, მაგრამ ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება იმ ძირითადი საჭიროებებით უზრუნველყოფა, რომლებიც ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს შექმნიდა აღნიშნული სოციალური ჯგუფისთვის.

- პირველი და ძირითადი პრობლემა იძულებით გადაადგილებული პირების უმრავლესობისთვის (წარსულში, დევნილობის პირველ ეტაპზე თუ მიმდინარე პერიოდში) საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა ან საყოფაცხოვრებო პირობებია.

- იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის ეტაპები ნელი ტემპით ხორციელდება - ძირითადად, შენდება, რემონტდება ან მენაშენეებისგან ხორციელდება შესყიდვა საცხოვრებელი ფართები, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირებს კერძო საკუთრებაში გადაეცემათ. აღნიშნული პროცესის მიმართ დამოკიდებულებები არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, ეს სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინიციატივაა, რომელიც დევნილებს ხელშესახებ დადებით შედეგს - გარემონტებულ ბინას და მის კერძო მფლობელობაში მიღებას ჰპირდება. მეორე მხრივ, უკმაყოფილებას იწვევს სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღება დევნილების აზრის გათვალისწინების და მათთვის ალტერნატივის შეთავაზების გარეშე, ასევე მოლოდინი, რომ ბინების კერძო საკუთრებაში გადაცემის შემდეგ, სახელმწიფო მოიხსნის ვალდებულებებს დევნილების წინაშე.

- აფხაზეთიდან დევნილებისგან განსხვავებით, 2008 წლის ომის შედეგად დევნილები საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე მეტად მიუთითებენ. რესპონდენტები თვლიან, რომ მშენებლობის დაჩქარებულმა ტემპმა არა ერთი ისეთი პრობლემა გამოიწვია, რომელთა არიდება დაგეგმვისა და პროექტირების თუნდაც სულ რამდენიმე თვით მეტი დროის დახარჯვის შემთხვევაში – ადვილად შესაძლებელი იქნებოდა. თუმცა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კონკრეტული მიზნების სწრაფად მისაღწევად დაჩქარებული ტემპი საქართველოს ხელისუფლებისთვის სიმპტომატური იყო, მიუხედავად იმისა, რომ მას ამისთვის საკმარისი ადამიანური რესურსის და ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდა. რესპონდენტები თვლიან, რომ ასეთ გარემოში კი, დონორებს, პროექტების დაფინანსებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ, თუმცა, სხვა მსჯელობის საკითხია, ზოგადად, რამდენად გამჭვირვალეა დონორებისთვის მსგავსი პროცესების მიმდინარეობის დეტალები.

- ფოკუს ჯგუფის მონაწილე რესპონდენტთა შორის, დევნილთა საპროტესტო მუხტის წინაპირობად, იმ ოჯახების სრულ უგულებელყოფას მიიჩნევენ, ვისაც არასოდეს მიუმართავს სახელმწიფოსთვის საცხოვრებლით ან ალტერნატიული ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების მოთხოვნით. კონკრეტულად, ამ სეგმენტის გაღიზიანების მოლოდინები რესპონდენტების აზრით, საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის ბოლო ეტაპებს უკავშირდება და უფრო მეტიც, რამდენიმე რესპონდენტი გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის გაჭიანურებას, სწორედ, ამ „ნაღმის“ აფეთქებით გამოწვეულ ხელისუფლების შიშს“ უკავშირებს.

- დევნილთა უმრავლესობა თავად ტერმინს „ინტეგრაცია“ განიხილავს, როგორც საზოგადოებასთან გაერთიანების, იძულებით გადაადგილების ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, სხვადასხვა უფლებებით სარგებლობას. თუმცა, ნაწილი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება დევნილების სტიგმატიზაციისა და საზოგადოების დამოკიდებულების საკითხებს, როგორც ხანდაზმულ და არააქტუალურს. რესპონდენტთა ნაწილი, კი, ხაზს უსვამს საზოგადოებაში დამკვიდრებული, ხშირ შემთხვევაში ნეგატიური, სტერეოტიპების არსებობასთან „შეგუებას“, რომლებიც მათი „სტიგმატიზაციის“ ერთ-ერთ გამოვლინებად ითვლება.

- ინტეგრაციის პრობლემებზე მინიმალურად საუბრობენ ახალგაზრდები. რჩება შთაბეჭდილება, რომ მათ არ ესმით საზოგადოებასთან ინტეგრაციის პრობლემების შესახებ დასმული კითხვების მნიშვნელობა. პრაქტიკულად, ყველა ახალგაზრდა რესპონდენტი ამბობდა, რომ დღეს ეს პროცესი დასრულებულია და ისინი სულ უფრო ემსგავსებიან ადგილობრივებს. ახალგაზრდების აზრით, მოცემულ ეტაპზე, ძირითადი განსხვავება დევნილებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის, კერძო საკუთრების ფორმა და ფლობაა (კოლექტიური დასახლებები), ზოგიერთი რესპონდენტის წარმოდგენით კი, უფრო მაღალია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელიც.

- სახელმწიფო პოლიტიკა არ ყოფილა თანმიმდევრული აფხაზეთიდან გადაადგილებული პირების მიმართ, აქტივობები ფრაგმენტული და ნაკლებად შედეგიანი იყო. რესპონდენტების აზრით, დევნილების დაბინავებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების გაჭიანურებით, სახელმწიფომ ხელი შეუშალა მათ ინტეგრაციას, დიდხანს დატოვა ისინი არ მხოლოდ დევნილის, არამედ, სტუმრის როლშიც. გამოკითხულები ამბობენ, რომ დღეს ისინი ხედავენ შექმნილი სახელმწიფო სტრატეგიისა და მიმდინარე პროცესების მნიშვნელოვნებას, თუმცა ვერ ივიწყებენ სახელმწიფოს მხრიდან სუსტ მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას წლების განმავლობაში - გამოკითხულების აზრით, ამის მაგალითად, დევნილებისთვის გამოყოფილი უკიდურესად მცირე დახმარების თანხაც კმარა.

- დევნილთა უმრავლესობა ინარჩუნებს ოპტიმისტურ განწყობას და იმედს, დაბრუნების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებისთვის კვლევის მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა ახლობლებისა და მეგობრების დაბრუნებას მნიშვნელოვან მოტივაციურ ფაქტორებს შორის ასახელებს. მნიშვნელოვანია რესპონდენტებისთვის უსაფრთხოების გარანტიები სახელმწიფოსგან. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი, თითოეული სეგმენტიდან უსაფრთხოებას გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვან გავლენის მქონედ და შესაბამისად, ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევს.

- იძულებით გადაადგილებული პირების მთავარ პრობლემას მწირი შემოსავლები\შემოსავლის სტაბილური წყაროს არარსებობა წარმოადგენს. გამოკითხულების თქმით, დევნილების მხოლოდ მცირე რაოდენობაა ოფიციალურად დასაქმებული, დანარჩენები კი, უმეტესად, მწირი სახელმწიფო დახმარებებით, სოფლის მეურნეობითა და ვაჭრობით ირჩენენ თავს. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტებში პრობლემურია მიწის დამუშავება - მიწის რესურსი მცირეა, შეზღუდულია თავისუფალი მიწების რაოდენობა.

- დევნილებს, ძირითადად, ისეთივე ყოფითი პრობლემები აქვთ, როგორიც ადგილობრივებს - წყალმომარაგებასთან დაკავშირებული სირთულეები, გაზიფიკაცია, მოუწესრიგებელი გზის საფარი, კანალიზაცია, საერთო მრიცხველები და სხვა. რესპონდენტების თქმით, შემოსავლების სიმწირეც საზოგადო და არა მხოლოდ დევნილების საზრუნავია.

- დევნილების ადაპტაციასთან დაკავშირებულ პროცესებზე, ძირითადად, წარსულ დროში საუბრობენ. ამბობენ, რომ დევნილებსა და ადგილობრივებს შორის მნიშვნელოვანი მენტალური განსხვავებები ისედაც არ იყო, რადგან საქართველო თავისი ტერიტორიული სიდიდით არ გამოირჩევა და ყველა კუთხეს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვს. მიუხედავად ამისა, როგორც რესპონდენტების საუბრიდან ირკვევა, მატერიალური სიდუხჭირის, რამდენიმე გამოვლილი ომის ვითარებაში, დევნილების ჩამოსვლამ მნიშვნელოვნად დაამძიმა სოციალური და ემოციური ფონი.

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოვალეობები და პასუხისმგებლობები იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ შეზღუდულია. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში მიზნობრივად დევნილებზე გათვალისწინებული თანხები არ არის, თუმცა გამგეობის\საკრებულოს ყველა აქტივობა, რომლებიც მათი უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება, დევნილებზე ისევეა მიმართული, როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე. ერთადერთი დახმარება, რომელსაც იძულებით

გადაადგილებული პირები გამგეობიდან იღებენ, დევნილის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახისთვის გათვალისწინებული ფულადი კომპენსაციაა. დანარჩენი შესაძლო აქტივობები - სოციალურად დაუცველი დევნილების ერთჯერადი დახმარება, მათთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება და სხვა, მუნიციპალიტეტების კეთილი ნებაა.

- სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობას გამოკითხულები კონსტრუქციულს უწოდებენ. მათთან ურთიერთობაში გამოკვეთილ სირთულეებზე იშვიათად საუბრობენ. ერთეული ხარვეზების არსებობა ობიექტურ გარემოებებს და არა თანამშრომლობის ნების არარსებობას მიეწერება. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი უწყება, რომელთან ურთიერთობების პერმანენტულ სირთულეზეც საუბრობენ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროა, რომელიც თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე ქონების გადაცემის გაჭიანურებით, მუნიციპალიტეტებს არ აძლევს ამ ქონების განკარგვის\გასხვისების საშუალებას და ამით შემოსავალს აკარგვინებს.

- საერთაშორისო\არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა გამოკითხულ მუნიციპალიტეტებში აპრობირებული პრაქტიკაა, რომლის ინიციატორებად, ძირითად, ეს ორგანიზაციები გამოდიან. ამ ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულება პოზიტიურია, რადგან, გამოკითხულების აღქმაში, ისინი საკუთარ თავზე იღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის იმ საჭიროებების დაკმაყოფილებას, რომლებზე ზრუნვისთვის აუცილებელი რესურსი მუნიციპალიტეტში შეზღუდულია. ამავდროულად, აღინიშნა ისიც, რომ საერთაშორისო\არასამთავრობო ორგანიზაციებმა აქტივობები შეასუსტეს იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში, რაც გამოკითხული დევნილების არა იმდენად, გულისწყრომას, რამდენადაც, ერთგვარ წყენას იწვევს, რომ მათი პრობლემებით ნაკლებად ინტერესდებიან.

- რესპონდენტები ყველაზე პერსპექტიულად გამოკითხულ მუნიციპალიტეტებში მცირე სასოფლო-სამეურნეო (განსაკუთრებით, ხილის გადამამუშავებელი) საწარმოების შექმნას თვლიან, თუმცა, ამ მიმართულებით, სახელმწიფოს ან არასამთავრობო\საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მოიაზრებენ.

- იმისათვის, რომ დევნილებმა შეძლონ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, საჭიროა მათთვის ზოგადი უნარჩვევების სწავლება, როგორიცაა, ბიზნეს გეგმის/პროექტის შედგენა, ინფორმაციის მოძიება/საბაზრო მოკვლევა, ბიზნეს მართვა, საგადასახადო საკითხები, რათა მათ იგრძნონ საკმარისი ინფორმირებულობით გამოწვეული თავდაჯერება მცირე ან საშუალო ბიზნესის წამოსაწყებად. ამასთან, ზოგადი უნარ-ჩვევების გარდა, დიდია დევნილთა შორის ნაწილი, ვინც საჭიროებს დარგობრივ გადამზადებას - აუცილებელია მათთვის კვალიფიციური სწავლების ორგანიზება.

4. საქართველოში რუსეთის აგრესიის (1990-1993 და 2008 წლებში) შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები

4.1 საცხოვრებელი ადგილი და საყოფაცხოვრებო პირობები

კვლევამ აჩვენა, რომ დღეს დევნილთა ჯგუფები არ დგანან ერთი ცალკეული პრობლემის წინაშე. მათი მდგომარეობის სიმძიმე კომპლექსურია. დროთა განმავლობაში იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები ნელი ტემპით იცვლება, მაგრამ ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება იმ ძირითადი საჭიროებებით უზრუნველყოფა, რომლებიც ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს შექმნიდა აღნიშნული სოციალური ჯგუფისთვის.

პირველი და ძირითადი პრობლემა იძულებით გადაადგილებული პირების უმრავლესობისთვის (წარსულში, დევნილობის პირველ ეტაპზე თუ მიმდინარე პერიოდში) საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა ან საყოფაცხოვრებო პირობებია. დევნილობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, პრობლემების ხასიათი განსხვავდება პერიოდის მიხედვით, თუმცა, რესპონდენტთა ნაწილის დევნილობის ისტორია საცხოვრებლით უზრუნველყოფის პერმანენტული პრობლემებით ხასიათდება.

ცხადია, გადაადგილების შემდეგ, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა მოძებნეს სხვადასხვა ტიპის დროებითი საცხოვრებლები. როგორც რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, თავდაპირველად, თავი შეაფარეს ოჯახის ახლობლებს/ნათესავებს, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. თუმცა, მათივე განმარტებით, შეუძლებელი იყო ოჯახის ახლობლებთან/ნათესავთან მუდმივად ცხოვრება. ეს მხოლოდ პრობლემის პერმანენტული გადაწყვეტა იყო და შემდეგ ეტაპზე მათმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ საერთო საცხოვრებელში გაეგრძელებინა ცხოვრება, ნაწილს კი მოუწია სხვადასხვა მიტოვებულ შენობებში შესახლება. დევნილობის პირველ ხანებში, ყველა ამ ტიპის საცხოვრებელი მათთვის დროებით თავშესაფარს წარმოადგენდა. თუმცა, საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის მაღალ აქტუალობას განსაზღვრავს სწორედ ის ფაქტორი, რომ დევნილების ნაწილი (ძირითადად, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობა) ზოგ მათგანში (ე.წ. დროებით თავშესაფარში) დღესაც ცხოვრობენ და ელიან საცხოვრებლით უზრუნველყოფის გრძელვადიან გადაწყვეტას.

> *მიტოვებული და ფუნქცია დაკარგული შენობების, სკოლების, სასტუმროების, სანატორიუმების საცხოვრისად ათვისება, ძირითადად, დევნილობის საწყის ეტაპზე ხდებოდა, თუმცა საქართველოში ჯერ კიდევ უამრავი იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს ბინებში, რომლებიც ამ ტიპის შენობებშია განთავსებული.* (აფხაზეთიდან დევნილი, თბილისი)

> *დევნილობის საწყისი ეტაპის გახსენება, დღემდე ყველაზე მძიმე სიუჟეტიანი კადრია ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ვერა და ვერ გადაიქცა სიზმრად. თუმცა, ათეული წლების შემდეგ, ბინით უზრუნველყოფა თუ ისევ აქტუალური პრობლემა იქნებოდა დევნილებისთვის, ამას ვერ წარმოვიდგენდი. ჩვენ, „ძველ დევნილებს" განსაკუთრებით გვაწუხებს ეს პრობლემა და არ მინდა მიწყინონ, მაგრამ აფხაზეთიდან დევნილებზე მძიმე პირობებში აღმოვჩნდით, ერთეული შემთხვევების გარდა.* (სამაჩაბლოდან დევნილი, გორი)

საცხოვრებელი ფართის მოძიების პროცესი 1990-1993 წლებში იძულებით გადაადგილებულ პირებისთვის, მათივე შეფასებით, ურთულესი აღმოჩნდა, როგორც აღნიშნავენ სახელმწიფოს მათთვის არ გადაუცია საცხოვრებელი ფართი და თავად უწევდათ ცარიელი/დაუსახლებელი შენობების მოძებნა და შესახლება. რესპონდენტები თავიანთ თავდაპირველ საცხოვრებელს, რომელშიც ოკუპირებული ტერიტორიების დატოვების პირველ ეტაპზე შესახლდნენ, აფასებენ, როგორც ცხოვრებისთვის შეუფერებელი პირობების მქონეს, რაშიც ფართის სიმცირე, გათბობის, წყლის, გაზის სისტემების, ჰიგიენის და სხვა ბაზისური საჭიროებების არარსებობა იგულისხმება. უნდა აღინიშნოს, რომ დევნილობის პირველ ეტაპზე საცხოვრებელი პირობების შეფასებები, რომლებიც დახვდათ ე.წ. „დროებით თავშესაფრებში" (საერთო საცხოვრებლები, ბაღები, სასტუმროები და სხვა შენობები), გამოირჩევა ჰომოგენურობით. თითოეული რესპონდენტის გამოცდილება, ვისაც ახლობლების/ნათესავების ბინებში არ მოუწია დასახლება, იდენტურია და მიუთითებენ მძიმე პირობებზე, რომლებთან გამკლავებაც მათ უწევდათ.

> *საერთო საცხოვრებელს ჰქონდა გამოკვეთილად ცუდი პირობები. საერთო სარგებლობის სველი წერტილები, არ ჰქონდა აბაზანა, არ ჰქონდა სამზარეულო და ა.შ. გარდა ამისა, ჩემი ახლობელი დევნილები ისეთ ადგილებზე მოხვდნენ, რომლებიც ისედაც მიტოვებულად ითვლებოდა და კედლებიც კი დაზიანებული იყო ნესტისგან, სხვა პირობებზე რომ არ ვისაუბრო.* (აფხაზეთიდან დევნილი, ზუგდიდი)

> *დევნილობასთან ერთად, უწყლობა, უშუქობა, შიმშილი, უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობები. ამის პარალელურად მუდმივი შიში, რომ ამ საცხოვრებელსაც დავკარგავთ - აბსოლუტურად მიტოვებულობის განცდა. რომელი ერთი პრობლემის მოგვარებას უნდა შევჭიდებოდით. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ვიდრე საკუთრების განცდა არ გაქვს, საშუალება რომც გქონდეს არაფრის გაკეთება არ გინდა. თბილისში სასტუმრო „აფხაზეთი"-ს ფასადი მაინც ხომ გახსოვთ. წლების განმავლობაში, სამაჩაბლოდან დევნილები არაფერს აკეთებდნენ იმიტომ, რომ საკუთრება არ იყო.* (სამაჩაბლოდან დევნილი, გორი)

კვლევაში მონაწილე, დევნილთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადმოცემით, 2007 წლის დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიაში პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა დევნილთა ნებაყოფლობითი და ღირსეული განსახლების გრძელვადიანი გადაწყვეტა, მათი სახელმწიფოზე დამოკიდებულების შემცირება და უკიდურესად გაჭირვებული დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამაში მოქცევა. თუმცა, სტრატეგიის მიღების შემდეგ, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილების ახალი ტალღის გაჩენამ განაპირობა ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, რომლითაც 2008 წლის ომის შედეგად დევნილებთან მიმართებით სახელმწიფოს მიდგომა განისაზღვრა.

> *2008 წლის შემდეგ, როდესაც ძალიან დიდი თანხები გამოიყო განსახლებისთვის, სამ მილიარდ დოლარამდე და ფაქტობრივად, დევნილების დიდი უმრავლესობა დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო, ეს თანხები გაიხარჯა არამიზნობრივად, მოხმარდა იუსტიციის სახლების მშენებლობას და დონორებმა დემონსტრაციულად დაიხურეს ქუდი და უარი თქვეს დაფინანსებაზე. ამ პერიოდის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდებოდა ამ პროექტის დაფინანსება, რამაც განაპირობა ტემპის მკვეთრი დაცემა. ანუ თავდაპირველად იყო კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია და გადაკეთება საცხოვრებლად. მერე დაიწყო ახალი ბინების მშენებლობა და პირველი 5 წელი ტემპი იყო უკიდურესად დაბალი. 500-600 ოჯახი იღებდა წელიწადში, როცა 53000 ოჯახი ელოდებოდა. ახლა ბოლო 2-3 წელია საკმაოდ მოიმატა მშენებლობების ტემპმა. თუმცა, მთელი ეს მეთოდოლოგია, შერჩევის კრიტერიუმები ბევრ შეკითხვას ბადებს.* (სამაჩაბლოდან დევნილი, გორი)

შესაბამისად, ახალი გამოწვევების გამო, საბოლოო სტრატეგიის დამტკიცების შემდეგ, პირველი სამოქმედო გეგმა მიღებულ იქნა 2009 წელს, რომლის თანახმად სახელმწიფო დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით დასაკმაყოფილებლად მიმართავს ორ ფორმას: საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება და საცხოვრებლის შესაძენად ფულადი კომპენსაციის გადახდა. რაც თავის მხრივ, მოიცავდა რამდენიმე შესაძლებლობას: (1) კომპაქტურად განსახლების ყოფილი ობიექტების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემას (პრივატიზება); (2) ახლად რეაბილიტირებულ ან აშენებულ საცხოვრებელ კორპუსში ბინით დაკმაყოფილებას; (3) დევნილი ოჯახისათვის ინდივიდუალური სახლების შეძენას რეგიონებში.

კვლევის შედეგად, 1990-1993 წლის დევნილთა უმრავლესობა მრავალბინიან კორპუსში (52%) და 2008 წლის დევნილთა უმეტესობა (64%) კერძო სახლში. მოცემული შედეგი ლოგიკურია, რადგან 2008 წლის დევნილთა განსახლება ახალაშენებულ კომპაქტურ დასახლებებში, ძირითადად, კოტეჯის ტიპის კერძო სახლებში განხორციელდა.

დიაგრამა 1. რა ტიპისაა საცხოვრისი სადაც თქვენ ცხოვრობთ?



თვისებრივი კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ასევე განსხვავებული მდგომარეობაა 2008 წლის დევნილებთან მიმართებაში. იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ტალღის მასშტაბურობის მიუხედავად, ერთი მხრივ, დიდი ნაწილი მალევე დაუბრუნდა საკუთარ საცხოვრებელ სახლს, ხოლო დევნილობაში დარჩენილი ნაწილის საცხოვრებლით უზრუნველყოფა, გაცილებით მოკლე ვადებში განხორციელდა, ვიდრე აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა დაკმაყოფილება. ცხადია, რომ დღეს 2008 წლის დევნილები საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოლოდინის პრობლემებზე ნაკლებად საუბრობენ.

2008 წლის ომის შედეგად დევნილი პირებისთვის საერთოა გამოცდილება მუდმივი საცხოვრებელი ფართის მიღებასთან დაკავშირებით, მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა სახელმწიფომ შეძლო ომიდან რამდენიმე თვის შემდეგ. საცხოვრებელი ფართის მოძიების პროცესს რესპონდენტები აფასებენ, როგორც არც თუ ისე რთულს, რადგან თვლიან, რომ 1990-1993 წლის დევნილთა შემთხვევაში, აღნიშნული პროცესი მეტ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმეტესობის ამჟამინდელი საცხოვრებელი საკუთრებას წარმოადგენს. საცხოვრებლის ტიპის მიხედვით გამოკვეთილი ტენდენციის მსგავსად, 1990-1993 წლის დევნილთა საკუთრებას მრავალბინიან კორპუსებში არსებული ბინები, ხოლო 2008 წლის დევნილთა საკუთრებას კომპაქტურ დასახლებებში არსებული სახლები წარმოადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დევნილობის პერიოდისა და შერჩევის ზომის სიმცირის მიუხედავად, კვლევამ აჩვენა, რომ 1990-1991 წლებში დევნილთა 21% და 2008 წლის დევნილთა 14% ახლობლის/ნათესავის ბინაში ცხოვრობს ან ქირაობს.

დიაგრამა 2. რა მიმართება გაქვთ იმ ბინასთან (სახლთან), სადაც ახლა ცხოვრობთ?



კვლევამ აჩვენა, რომ ცალკე სპეციფიკა აქვს, მიმდინარე პერიოდში, უშუალოდ, კოლექტიური დასახლების ცენტრებში მაცხოვრებელ დევ ნილთა პრობლემებს, კატეგორიების მიხედვით - ვინ რა ტიპის კოლექტიურ დასახლებაში ცხოვრობს.

უნდა აღინიშნოს, რომ დევნილთა უმრავლესობა, რომლებიც საკუთარ საცხოვრებლებში პირველ მოსახლეს წარმოადგენენ, მიუხედავად შესახლების/გადასვლის პერიოდისა, საკუთარ საცხოვრებლებს პირვანდელი სტატუსით მოიხსენებენ. მოცემულ კვლევაში ჩართულ 90-იანი წლების დევნილთა 67% და 2008 წლის დევნილთა 88% ახალაშენებულ საცხოვრებლებში ცხოვრობს. ძველ კოლექტიურ დასახლებებში მიმდინარე პერიოდამდე 90-იანი წლების დევნილთა რაოდენობა აჭარბებს 2008 წლის დევნილთა რაოდენობას.

დიაგრამა 3. კომპაქტური დასახლების ტიპი



თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩართულ რესპონდენტთა გადმოცემით, კოლექტიურ დასახლებაში მცხოვრებთა კატეგორიზაცია შესაძლებელია შემდეგნაირად:

- რესპონდენტები, რომლებიც ცხოვრობენ ძველ, გაურემონტებელ, რიგ შემთხვევაში, ავარიული კატეგორიის კოლექტიური დასახლების ცენტრებში;
- რესპონდენტები, რომლებიც ცხოვრობენ ქირით ან ნათესავებთან და ახლობლებთან და აქვთ შეტანილი განცხადებები კოლექტიური დასახლების ცენტრებში ბინით დაკმაყოფილების თაობაზე;
- რესპონდენტები, რომლებიც ასევე, ცხოვრობენ ქირით, ნათესავებთან ან საკუთარ ბინებში და არასოდეს განუცხადებიათ ბინით დაკმაყოფილების თაობაზე;
- რესპონდენტები, რომლებიც ცხოვრობენ ახალ აშენებულ ან რეაბილიტირებულ (გარემონტებულ) კოლექტიურ დასახლების ცენტრებში.

ბუნებრივია, დევნილთა საცხოვრებელი პირობების კვლევისას, გარკვეული დეტალები, კატეგორიების მიხედვით, განსხვავებულად დალაგდა. თუმცა, გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რაც რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მონაწილე ყველა რესპონდენტებისთვის ერთგვაროვანი იყო:

- კოლექტიური დასახლების ცენტრებში მცხოვრებ რესპონდენტთა უმრავლესობას (90-იანი წლების დევნილები - 92%, 2008 წლის დევნილები - 89%, დარჩენილი წილებით აღინიშნა „უარი პასუხზე“) სხვა საცხოვრებელი ბინა არ გააჩნიათ. ლოგიკურია, რომ კოლექტიური დასახლების ცენტრებში დასახლებული დევნილების ძირითადი უმრავლესობა ბინის ქირას არ იხდის.

- დევნილები კოლექტიური დასახლების ცენტრებში ცხოვრობენ ოჯახებთან ერთად. გამოკითხულთა ძირითადი ნაწილის ოჯახი მრავალსულიანია და ამჟამად მათ მფლობელობაში ერთი, ორი ან სამოთახიანი ბინებია.

- დასახელებული ბინების გარდა რესპონდენტები არ ფლობენ სხვა რაიმე უძრავ ქონებას საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიაზე. არ აქვთ მფლობელობაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რაც თავისთავად, არ იძლევა შინაური ცხოველებისა და ფრინველების შენახვის საშუალებას.

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (თითოეულ კატეგორიაში 50%-ზე მეტი) საცხოვრებელი ფართის სივიწროვის პრობლემის წინაშე დგას: ფართი, რომელიც ოჯახებს მეტ-ნაკლებად ჰყოფნიდათ შესახლების პერიოდში, ამჟამად აღარ არის საკმარისი, რადგან ოჯახის წევრები გაიზარდნენ ან შესაძლებელია, გაჩნდნენ ახლები.

მეორე რიგის აქტუალურ პრობლემაა საცხოვრებელი ფართების მდგომარეობა. 90-ანი წლების დევნილთა 38% აღნიშნავს, რომ ბინა სარემონტოა, 17%-ის გადმოცემით, კი იმდენად დაზიანებულია, რომ საცხოვრებლად უვარგისია. 2008 წლის დევნილთა საცხოვრებლების მდგომარეობა ასევე, კრიტიკულად რთულ შედეგს აჩვენებს - 54% გარემონტების საჭიროებაზე აკეთებს აქცენტს, 11%-ის გადმოცემით, საცხოვრებელ პირობები რთულია და ვერ აკმაყოფილებს საცხოვრებლად ვარგისიანობის ზოგად სტანდარტებს.

დიაგრამა 4. ქვემოთ ჩამოთვლილიპრობლემებიდან, რომელი გაწუხებთ თქვენ ბინასთან (სახლთან) მიმართებაში?



მსგავსი შედეგები აქვს თვისებრივ კვლევას - კოლექტიური დასახლების ცენტრებში მცხოვრებ დევნილთა ძირითადი პრობლემა, საცხოვრებელი ფართის სივიწროვე ან მათი გარეგნული მდგომარეობაა. ამასთან, უსახსრობით გამოწვეული სხვადასხვა ყოფითი პრობლემები. მაგალითად, დაბზარული კედლები, დაზიანებული სან-ტექნიკა და კანალიზაცია, ფანჯრები და სახურავები, ანტისანიტარია სადარბაზოებში და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიურ დასახლებებში დღემდე აქტუალურია რიგი ოჯახებისთვის საცხოვრებლების პრივატიზების პრობლემები, 2008 წლის დევნილი რესპონდენტების საჭიროებებზე აქცენტები, მინიმალურად მოიცავს საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემებს. უფრო მეტიც, მათი გადმოცემით, საცხოვრებლებით უზრუნველყოფისთვის დროულად გადადგმულმა ნაბიჯებმა, *„საქართველოში დევნილთა რიგებიდან 2008 წლის დევნილები თითქოს გამორიცხა - „რაც მთავარია, საკუთარი ჭერი აქვს“ მოტივით. ე.წ. „ძველი დევნილების ბინით უზრუნველყოფის პრობლემები იმდენ ხანს გაიწელა, თითქოს სხვა საჭიროებები არც არსებობს და იმ პრობლემების მოგვარებისთვის, საუკეთესო შემთხვევაში, „ჩვენს რიგს“ უნდა დაველოდოთ, რომელიც არავინ იცის როდის დადგება.“* (2008 წლის დევნილი, წეროვანი)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შორის, ძირითადად, წეროვანის, კარალეთის, გორის, ხურვალეთის დასახლებებში მაცხოვრებელი დევნილები იყვნენ, ამასთან, რამდენიმე რესპონდენტი შაუმიანის და კოდის დასახლებიდან. ამ ოჯახებმა, 2008 წლის ომის შედეგად დევნილობის პირობებში მიიღო საცხოვრებელი საგანგებოდ აშენებულ დასახლებაში. იყო შემთხვევები როდესაც დევნილებს გაურემონტეს არსებული, ომის შედეგად დაზიანებული სახლები (ძირითადად, სოფლებში) ან ფულადი კომპენსაცია (რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტი) საცხოვრებლის ალტერნატივის სახით.

2008 წლის დევნილები აღნიშნავენ, რომ ომის შემდგომ პერიოდში სასწრაფოდ მიღებული გადაწყვეტილებები დევნილთა ახალი ტალღის საბინაო პრობლემების სწრაფ მოგვარებას ისახავდა მიზნად. საერთაშორისო დონორთა ფინანსური დახმარებით, მთავრობამ მხოლოდ სამი თვის განმავლობაში ახალი დევნილებისთვის ააშენა ათასობით კერძო სახლი ან გაარემონტა ცარიელ შენობებში არსებული ბინები. თუმცა, ამ პროცესის დაჩქარებულმა ტემპმა მშენებლობის ხარისხზე ნეგატიურად იმოქმედა.

აფხაზეთიდან დევნილებისგან განსხვავებით, 2008 წლის ომის შედეგად დევნილები საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე მეტად მიუთითებენ. რესპონდენტები თვლიან, რომ მშენებლობის დაჩქარებულმა ტემპმა არა ერთი ისეთი პრობლემა გამოიწვია, რომელთა არიდება დაგეგმვისა და პროექტირების თუნდაც, სულ რამდენიმე თვით მეტი დროის დახარჯვის შემთხვევაში – ადვილად შესაძლებელი იქნებოდა. თუმცა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კონკრეტული მიზნების სწრაფად მისაღწევად დაჩქარებული ტემპი საქართველოს ხელისუფლებისთვის სიმპტომატური იყო, მიუხედავად იმისა, რომ მას ამისთვის საკმარისი ადამიანური რესურსის და ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდა. რესპონდენტები თვლიან, რომ ასეთ გარემოში კი, დონორებს, პროექტების დაფინანსებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ, თუმცა, სხვა მსჯელობის საკითხია, ზოგადად, რამდენად გამჭვირვალეა დონორებისთვის მსგავსი პროცესების მიმდინარეობის დეტალები.

> *მთელი რიგი პრობლემები აქვს კოტეჯების ტიპის კოლექტიურ დასახლებებს - დანესტიანებით გამოწვეული პრობლემები, მათ შორის, ჩამოცლილი საღებავი, ობი, იატაკის ფიცრებს შორის არსებული ღარები და ა.შ. სამშენებლო მასალა (განსაკუთრებით ცემენტი და ხე) კედლების შედებვისა და კოტეჯებში ოჯახების შესახლების მომენტში ბოლომდე მშრალი არ იყო. სამშენებლო სამუშაოები ზამთარში ჩატარდა და რა თქმა უნდა, გამოშრობის პერიოდი გახანგრძლივდა. იატაკებისა და სახურავებისთვის გამოყენებული ფიცრები და კედლების ასაშენებელი ცემენტის ბლოკებიც კი არ იყო ბოლომდე მშრალი. სახელმწიფოს რომ რამდენიმე თვით გაეხანგრძლივებინა სამუშაოები, ბევრი ხარვეზი აღმოიფხვრებოდა. დონორების დაფინანსებით აშენდა კოტეჯები და ზოგადად, დამფინანსებლებისთვის ხელმისაწვდომი რომ იყოს ინფორმაცია იმ პროცესების შესახებ, რისთვისაც დახმარების თანხებს გამოყოფენ, სახელმწიფოს მეტი პასუხისმგებლობა ექნება. ეს პროცესია დასარეგულირებელი ნებისმიერ პერიოდში.* (2008 წლის ომის შედეგად დევნილი, წეროვანი)

კოტეჯების საკმაოდ დიდ რაოდენობაში, მდგომარეობა იმდენად სავალალო იყო, რომ 2009 წელს სახელმწიფოსთვის გარდაუვალი გახდა პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა, შესაბამისად, დაიწყო ხელახალი სარემონტო სამუშაოები, ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, დაზიანებული კოტეჯების შეკეთება და კეთილმოწყობა, თუმცა, ზოგიერთ მათგანში, დღემდე პრობლემა პრობლემად რჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს შორის ავარიულ ძველი კოლექტიური დასახლების ცენტრიდან მხოლოდ ერთი რესპონდენტი მონაწილეობდა - ზუგდიდის „ფაიფურის ქარხნის“ მაცხოვრებელი. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ავარიულ მდგომარეობაში ან ნგრევადი კოლექტიური დასახლების ცენტრების უმრავლესობა დაიხურა. მათ რიცხვშია „ფაიფურის ქარხანა“-ც, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე, დახურულად გამოცხადდა, თუმცა, ჯერ კიდევ, სამი აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებლით და შენობაში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო, დროებით ნათესავების ბინებს აფარებენ თავს. „ფაიფურის ქარხნის“ კრიტიკულად მძიმე პირობების გამო აღნიშნულ ოჯახებს თითქმის სრულად გაუნადგურდათ მათ საკუთრებაში არსებული ყველა სახის საოჯახო ინვენტარი.

> *ბინებით უზრუნველყოფის ბოლო ეტაპზე 12 ოჯახი გავიდა შენობიდან. შენობა ისეთი ავარიულია, ყველა თავის საცხოვრებელს იცავდა სხვადასხვა კუსტარული მოწყობილობებით წვიმისგან და ქარისგან. მათი გადასვლის შემდეგ, შენობა ყოველდღიურად უფრო და უფრო გაპარტახდა. მივხვდი, რომ მეზობლის კედელი მიცავდა წვიმისგან. მეზობელს - სხვა მეზობლის და ასე ჯაჭვურად. პირველივე ნალექმა სრულად გაანადგურა ჩემი ავეჯი. ოთახში შემოსული წყალი, ფეხსაცმელებს გვიფარავდა. ფაქტობრივად, მხოლოდ ჭურჭლის ამარა მივადექი ჩემი დის ოჯახს. ეს ნიშნავს, რომ მეორედ მიწევს ცხოვრების დაწყება. მაგრამ თუ როდესმე ბინით დავკმაყოფილდი, მაგასაც გავუმკლავდები.* (აფხაზეთიდან დევნილი, ზუგდიდი)

აღსანიშნავია, რომ თვისებრივი კვლევის მონაწილე დევნილებს არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდში, რჩებიან თუ არა დევნილები ავარიულ და ნგრევად ობიექტებზე. მათი გადმოცემით, მიუხედავად სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან საინფორმაციო წყაროებით გაშუქებული ინფორმაციისა, რომ პრობლემური კოლექტიური დასახლებების უმრავლესობა დაიხურა, ახალი საცხოვრებლებით უზრუნველყოფისა თუ ჩანაცვლების პროგრამების ფარგლებში, ერთეული ოჯახები კვლავ აგრძელებენ ცხოვრებას ავარიულ შენობებში. რესპონდენტების ნაწილს, ერთი მხრივ, გავრცელებული ინფორმაციის მიმართ მაღალი უნდობლობა აქვს, მეორე მხრივ, კი თვლიან, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ნებისმიერ ქალაქში, დევნილთა საცხოვრებლებით დაკმაყოფილება, ყველა დევნილის ინტერესის საგანია და სრულყოფილი ინფორმაციასთან წვდომა უნდა ჰქონდეს ყველა დევნილს. დევნილთა მსგავსი დამოკიდებულება ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ *„სახელმწიფო უწყებები პერმანენტულ რეჟიმში სამომავლო გეგმებზე საუბრით და უკვე აღსრულებული საქმეების მინიმალურად გაშუქებით, საცხოვრებლების მოლოდინში მყოფ დევნილებს შორის „კონკურენციით“ გამოწვეული აჟიოტაჟისგან იცავს თავს.“* (დევნილი აფხაზეთიდან, ქუთაისი)

სხვა მხრივ, აღსანიშნავია, რომ ძველ კოლექტიურ დასახლებებში (რომლებსაც არ აქვს მინიჭებული ავარიული ან ნგრევადი ობიექტის სტატუსი) არსებული პრობლემები მსგავსია თბილისსა და რეგიონებში. ძველი კოლექტიური დასახლების ცენტრების გარეგნულ იერსახეზე კვლევის მონაწილეები მინიმალურად საუბრობენ. ზოგადად, შენობებში სხვა პრობლემები იმდენად ხშირად იჩენს თავს, რომ ფასადებისა თუ სადარბაზოების მდგომარეობა, მათი გადმოცემით, წლებთან ერთად კარგავს აქტუალობას.

გამოკითხულთა უმეტესობისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მათი საბინაო პრობლემებით დაინტერესების ხარისხი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ, რესპონდენტები დევნილობის სხვადასხვა პერიოდში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების კონკრეტულ პროექტებს იხსენებენ, რაც მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული. და პირიქით, აბსოლუტური ნიჰილიზმით საუბრობენ სახელმწიფო უწყებებისა თუ თვითმმართველობის წარმომადგენლების ჩართულობაზე.

მიმდინარე პერიოდში თვისებრივ კვლევაში ჩართული რესპონდენტებიდან, ერთი მონაწილის ოჯახისთვის, ზუგდიდის არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზეთი“-ს პროექტის ფარგლებში, უზრუნველყოფილ იქნა საცხოვრებელი ფართის შიდა პერიმეტრზე სველი წერტილებისა და საპირფარეშოს მოწყობა.

> *წლების განმავლობაში საერთო სარგებლობის საპირფარეშოებით ვსარგებლობდით. „აფხაზეთმა“ რამდენიმე ოჯახისთვის უზრუნველყო საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება - სველი წერტილების შეკეთება/გაყვანა, საპირფარეშოების რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა, რიგი ოჯახებისთვის, ინდივიდუალური სარგებლობის საპირფარეშოების მოწყობა, კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები დერეფნებში. ყველა დევნილს შევატყობინე ზუგდიდში, რომ რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაციას ისევ ვახსოვართ. წლებია, თითქოს ყველამ დაგვივიწყა.* (დევნილი აფხაზეთიდან, ზუგდიდი)

ქირით ან ნათესავებთან მცხოვრები რესპონდენტები – დევნილები, რომლებიც ქირით ცხოვრობენ, ძირითადად, იაფფასიან ბინებს ქირაობენ. რესპონდენტთა ის ნაწილი, რომლებიც ნათესავებთან ცხოვრობენ, წლების განმავლობაში ბინის ქირას არ იხდიან. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე იმ დევნილთა ნაწილი, რომლებიც ახლობლებთან ცხოვრობენ ან ქირაობენ ბინას, აცხადებენ, რომ მათ მიიღეს სახელმწიფოსგან ბინა, თუმცა ქირით ან სხვის საკუთრებაში ცხოვრების მიზეზად, ქალაქებში სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიზნით გადასვლას ასახელებენ და ძირითადად, 18-30 ასაკის რესპონდენტები არიან (90-იან წლებში დევნილთა 38%, 2008 წლის დევნილთა - 57%). უფრო საინტერესოა, რომ ორივე სამიზნე სეგმენტის, ამ კატეგორიის დევნილთა დაახლოებით მეხუთედის გადმოცემით, მათ ბინის მიღებასთან დაკავშირებით არასოდეს მიუმართავთ შესაბამისი უწყებებისთვის (19%-24%).

დიაგრამა 5. აქვს/ჰქონდა თუ არა თქვენს ოჯახს ან მის რომელიმე წევრს შეტანილი განაცხადი დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში ბინის მიღებასთან დაკავშირებით?



თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ქირით ან ახლობლის ბინაში არსებული საცხოვრებელი ადგილი რესპონდენტთა ერთადერთი “თავშესაფარია”. არცერთ მათგანს მფლობელობაში არ აქვს არანაირი უძრავი ქონება. გამოკითხულებს შორის იყვნენ რესპონდენტებიც, რომლებიც კერძო ბინებში ცხოვრობენ და გარდა ამისა, საკუთრებაში აქვთ ბინები, ძირითადად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ამ კატეგორიის რესპონდენტთა უმთავრეს პრობლემას უბინაობა წარმოადგენს. დევნილთა ამ ნაწილის განწყობა ბინით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ორად იყოფა. ერთი ნაწილი, ანუ ისინი, ვისაც არასოდეს მიუმართავს ბინით დაკმაყოფილების მოთხოვნით შესაბამისი ორგანოებისთვის, შემდეგ მიზეზებს ასახელებენ (მიზეზები ვრცელდება საკუთრივ რესპონდენტზე ან მათ გარემოცვაზე):

- არ აქვთ/არ ჰქონდათ ინფორმაცია - საცხოვრებლით დაკმაყოფილებისათვის შემუშავებული კრიტერიუმების შესახებ/საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, ქმედითი ნაბიჯების შესახებ;

- არ აქვთ დახმარების იმედი და "უშედეგო ბრძოლისთვის" თავს ვერ იმეტებენ;

- დევნილობის შემდეგ პერიოდში ქორწინების შედეგად, გაუჩნდათ საცხოვრებელი და პასიურ რეჟიმში გადავიდა საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, ქმედებები („გადაიდო სამომავლოდ");

- თვლიან, რომ ბინით დაკმაყოფილებისას სულადობა არ იქნება გათვალისწინებული და უფრო სივიწროვეში მოუწევთ ცხოვრება;

- ცხოვრობენ ნათესავების ცარიელ ბინაში, არ იხდიან გადასახადს და ჯერჯერობით არ ფიქრობენ საცხოვრებლის შეცვლაზე;

- დიდ ქალაქებში საკუთარი შრომით ახერხებენ ბინის ქირის გადახდას და უკეთეს პერსპექტივებზე ფიქრობენ/არ სურთ სხვა ტერიტორიულ თუ ურბანულ ერთეულებზე დასახლება.

მნიშვნელოვანია რესპონდენტთა ნაწილის არგუმენტები საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებით. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის ბინებით უზრუნველყოფის პროცესში მატერიალური პრობლემების (დაახლოებით მესამედი) მიხედვით ბენეფიციართა რანჟირება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. რესპონდენტების დაახლოებით მეხუთედი თითოეულ სამიზნე ჯგუფში თვლის, რომ ომში დაღუპულთა ოჯახები სხვა კრიტერიუმებზე მნიშვნელოვანია. 16-19% თვლის, რომ ყველა დევნილი, ვისაც საკუთრებაში არ აქვს ბინა უნდა დაკმაყოფილდეს და პრივილეგიებზე საუბრისგან თავს იკავებს. შედარებით დაბალი წილებით დასახელდა, ავარიულ ბინებში მაცხოვრებლების მდგომარეობის გათვალისწინება, მრავალშვილიანობა, ბინის მოთხოვნაზე განცხადების წარდგენის ვადები და ა.შ.

დიაგრამა 6. საცხოვრებლით უზრუნველყოფისას, თქვენი აზრით, ოჯახების რა კრიტერიუმებს/რა მახასიათებლებს უნდა ენიჭებოდეს/ მინიჭებოდა პირველი რიგის მნიშვნელობა?



საინტერესოა, რომ ბინის გადაცემაზე გადაწყვეტილების მიმღებთა შორის, რესპონდენტებმა ცალკეულ სტრუქტურებთან ერთად, დაასახელეს სხვადასხვა შემადგენლობის რგოლები, როგორიცაა საინიციატივო ჯგუფები, რომელიც პროფესიონალთა გარდა, უშუალოდ დევნილებს ჩართავს სამუშაო პროცესში - 10%-15% და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობები 2%-4%, რომლებიც ერთგვარი ნდობის ჯგუფს წარმოადგენს კვლევის მონაწილეებისთვის და რიგ შემთხვევაში, შესაძლებელია საკუთარი ჩართულობის ალტერნატივადაც განიხილავს. ამასთან მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მაღალი წილით დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოა წარმოდგენილი 38%-43%, დევნილთა სამინისტრო გამიჯნულად სახელდება 20%-24%, თუმცა, რთულია განისაზღვროს, რამდენად გამიჯნულია რესპონდენტთა წარმოდგენებში მათი ფუნქციები.

დიაგრამა 7. თქვენი აზრით, ვინ უნდა გადაწყვიტოს ვის მიეცეს ბინები პირველ რიგში დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ცენტრში?



დევნილთა ინფორმაციით, საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს კრიტერიუმებს, რომელიც ეხება საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასებას და სოციალურ კრიტერიუმებს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გარკვეული პერიოდი კრიტერიუმები ნაკლებად წყალობდა იმ ოჯახებს, რომლებმაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ორჯერ მაინც შეიცვალეს საცხოვრებელი, რასაც საკმაოდ სადავო კომპონენტად მიიჩნევენ. კერძოდ, საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი შეიცავდა ჩანაწერს -,,კერძო სექტორში მაცხოვრებელი ოჯახის საცხოვრებლის სტაბილურობა“. 5 წლის განმავლობაში იძულებით გადაადგილებული ოჯახის მიერ ქირით საცხოვრებლის ცვლილების შემთხვევაში, რაც თეორიულად, სრულიად მოსალოდნელია, ისინი კარგავდნენ საკონკურსო ქულას და შესაბამისად, საცხოვრებლით უზრუნველყოფის შანსს. თუმცა, რეალურად გრძელვადიანი საცხოვრებლის საჭიროება ყველაზე მეტად სწორედ მათ წინაშე შეიძლება იდგეს. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული პირობების შედეგად, ოჯახების ნაწილის დაბალი სარეიტინგო ქულით შეფასებამ, ასევე, გამოიწვია მათი ნიჰილისტური დამოკიდებულება ბინით უზრუნველყოფის შესაძლებლობების მიმართ, რასაც ცხადყოფს, მიმდინარე პერიოდში კრიტერიუმების შესახებ არაინფორმირებულობის დონე, რაც თვისებრივ კვლევაში გამოიკვეთა.

გამოკითხულთა ის ნაწილი, ვინც რამდენჯერმე მიმართა ბინით დაკმაყოფილების მოთხოვნით სხვადასხვა სტრუქტურებს/ორგანოებს, ამბობენ, რომ

- აწუხებთ საცხოვრებელი ფართის სივიწროვე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსგან არ ელიან დიდი ფართით დაკმაყოფილებას, მაინც ხელსაყრელია, რადგან არ მოუწევთ ბინის ქირის გადახდა და არც ნათესავის შეწუხება;

- აქვთ ძალზე მცირე შემოსავალი და ვეღარ ახერხებენ ბინის ქირის გადახდას;

- ნათესავები სთხოვენ ბინის დაცლას და სასწრაფოდ საჭიროებენ ბინით უზრუნველყოფას;

- სურთ საკუთარი ბინა ჰქონდეთ, პირობების მიუხედავად. კოლექტიური დასახლების ცენტრები „არ არის საუკეთესო არჩევანი“, მაგრამ თვლიან, რომ დევნილებისთვის მაინც გარანტირებული საკუთრებაა, ვიდრე საკუთარ მიწას დაუბრუნდებიან.

კვლევამ აჩვენა, რომ განსახლების დღემდე წარმოებული პროცესის შეფასების შედეგები, 2008 წლის დევნილების აზრით, საერთო ჯამში, უფრო სამართლიანობისკენ იხრება, ვიდრე პროცესის უსამართლოდ წარმართვისკენ. რესპონდენტების 48% თვლის, რომ ფართების განაწილება თავის დროზე, სამართლიანი იყო, 21%-ის აზრით მეტ-ნაკლებად სამართლიანი, პროცესით უკმაყოფილებას 13% გამოხატავს. მნიშვნელოვანია, რომ 18%-ს უჭირს პროცესის დახასიათება. 90-იანი წლების დევნილთა დამოკიდებულება მეტად კრიტიკულია, თუმცა, არა არსებითად. რესპონდენტთა 28% თვლის, რომ განსახლება უსამართლოდ წარიმართა, 36% ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს და ამბობს, რომ პროცესი მეტ-ნაკლებად სამართლიანი იყო. 90-იანები დევნილთა 32% განსახლების პროცესს დადებითად ახასიათებს.

დიაგრამა 8. როგორ ფიქრობთ, რამდენად სამართლიანია საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესი?



თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ 1990-1993 წლების დევნილებთან შედარებით, 2008 წლის დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის გაუმჯობესების მიუხედავად, ხარვეზები მაინც გამოიკვეთა:

- პირველ რიგში, დასახლებებისა და საცხოვრებლების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია არ იყო გამჭვირვალე. დევნილებს საცხოვრებელი ადგილის შერჩევის პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ;

- დევნილებს გარკვეულ დოკუმენტზე ხელს აწერინებდნენ უშუალოდ ახალ საცხოვრებელში ჩასახლებისას, თუმცა, დიდ ნაწილს წლების განმავლობაში საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები არ მიუღია და დასახლებებში დღემდე ირიცხებიან ასეთი ოჯახები. ამასთან, წლების განმავლობაში გაჭიანურდა ფულადი კომპენსაციის გაცემა იმ პირებზე, რომლებსაც განაცხადები დაუკმაყოფილეს;

- კვლავ პრობლემას წარმოადგენს ფართების არათანაბარი განაწილება და ე.წ. „ნახევრად დაკანონებული“ ობიექტები, სადაც, არაერთხელ ჩატარდა აზომვითი სამუშაოები, თუმცა ამ დრომდე არ განხორციელებულა მათი სრული პრივატიზაცია. იმის გამო, რომ შენობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი აქვთ დაკანონებული, დევნილები ვერ ახერხებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნას, ქონების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვას და სხვა სამოქალაქო უფლებების რეალიზაციას;

- პრივატიზების პოლიტიკის წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ ზოგ დევნილს თავდაპირველად საცხოვრებელი ფართების კერძო საკუთრებაში მიღება არ სურდა, რადგან ერთის მხრივ, არ იცოდნენ, რა ალტერნატივებს შესთავაზებდნენ და ამასთან, იმედი ჰქონდათ, რომ უფრო დიდ საცხოვრებელს მიიღებდნენ. საერთო ჯამში, პრივატიზაციის პრობლემების ძირითადი მიზეზი, რესპონდენტთა აზრით, დევნილებისთვის ახალი ინიციატივებისა და ზოგადად, პრივატიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის არაეფექტურად გაცნობა წარმოადგენს;

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ახალი კოლექტიური დასახლების ცენტრებიდან, გამოიკითხა ბათუმის (ლეონიძის ქუჩაზე, ახალაშენებული კორპუსები), ფოთის (მალთაყვას ტერიტორია), წყალტუბოს ახალი კომპლექსების მაცხოვრებლები. სამივე რეგიონის ახალ კომპლექსებში მაცხოვრებელთა განწყობები და შეფასებები განხორციელებული განსახლების პირობების მიმართ, გარკვეული ფაქტორებით მსგავსია. რესპონდენტები საუბრობენ განსახლების პროცესისა და პირობების დადებით და უარყოფით მხარეებზე და შესაბამისად, ასახელებენ კმაყოფილება/უკმაყოფილების მიზეზებს.

რესპონდენტებში პოზიტიურ განწყობას ქმნის ზოგადად, ახალ აშენებულ შენობებში საცხოვრებელი ფართის მიღება და ხშირ შემთხვევაში, საცხოვრებლების გეოგრაფიული მდებარეობა.

> *“სახლები აშენდა და შემოგვასახლეს. ყველაფერი ახალია და ეს თავისებურად გვიმაღლებს განწყობას. სამშენებლო მასალებისგან შემორჩენილ სუნსაც კი ისეთი დადებითი ემოცია მოაქვს, თითქოს ყველა დანარჩენი პრობლემა გადაგვავიწყდა. ნებისმიერი ადამიანისთვის სასურველია ახალ, სუფთა გარემოში მოხვედრა. მითუმეტეს, ჩვენთვის, ვინც წარმოუდგენლად მძიმე პირობებიდან გადმოგვასახლეს. პრობლემები აქაც შეიძლება შეგვექმნას, მაგრამ ახლის შეკეთებასთან ძველ, დაბინძურებულ, გაპარტახებულ სახლებში რაც გადავიტანეთ, ახლოსაც ვერ მოვა.* (აფხაზეთიდან დევნილი, წყალტუბო)

ამ სახლმა ცხოვრების სტიმული გაგვიათმაგა. ახალია ყველაფერი. ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, ავეჯის შეძენისთვის ფულს ვერ ვიმეტებდით. წარმოიდგინეთ, სახლისთვის რომ ნორმალური ავეჯი დაგენანება. აქ სხვა შემართება გვაქვს. ისეთი პრობლემები დავტოვეთ მიღმა, ჯერ კიდევ არ გვჯერა რომ ეს აწმყოა. (აფხაზეთიდან დევნილი, ზუგდიდი)

არც მინდა ძველი მდგომარეობის გახსენება. სულ პრობლემებზე ლაპარაკიც უმადურობაა. სიზმარიც კი გამაღიზიანებელია, სადაც ძველ სახლში გატარებულ დროს ვხედავ. პრობლემები დაგვხვდა, მაგრამ მოგვარდება. მთავარია, რომ ყველაფერი ახალია და ერთად დგომით მოსაგვარებელსაც მოვაგვარებთ. (სამაჩაბლოდან დევნილი, გორი)

ბათუმი ჩვენი არჩევანი იყო. ზღვისპირეთიდან ვართ და ზღვისპირას დავბრუნდით. აქ თითქოს ყველაფერი ნაცნობია. გეოგრაფიული მდებარეობით ძალიან კმაყოფილები ვართ. (აფხაზეთიდან დევნილი, ბათუმი)

ფოთში ვცხოვრობდით და ფოთში გვინდოდა დარჩენა. ეს ვარიანტი ყველაზე მისაღები იყო ჩვენთვის. გარდა ამისა, სამეგრელოა. ჩვენს კუთხეში ვართ და ადაპტირება თითქმის არ გვჭირდება. (აფხაზეთიდან დევნილი, ფოთი)

თითქმის ერთი ქუჩა გვაშორებს ძველ საცხოვრებელ სახლს. ჩვენთვის ძალიან ხელსაყრელი იყო აქ დასახლება. შევეჩვიეთ წყალტუბოს. აქ ვმუშაობთ, აქ გაიზარდნენ ბავშვები და არ გვინდოდა სხვაგან გადასვლა. შემოგვთავაზეს ეს ადგილი და დავთანხმდით. (აფხაზეთიდან დევნილი, წყალტუბო)

კვლევის ფარგლებში ჩართულ რესპონდენტთა შორის, 2008 წლის იმ დევნილთა წილი, რომელთაც სახელმწიფოსთვის არ მიუმართავს ბინით უზრუნველყოფის მოთხოვნით, მინიმალურია. ამიტომ საინტერესოა ამ კატეგორიის ე.წ. „ძველი დევნილების“ განწყობები მომავლის პერსპექტივების მიმართ. კვლევამ აჩვენა, რომ უმრავლესობა სამომავლოდ აპირებს ბინის ან ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით განაცხადის წარდგენას (76%). 17% თავს იკავებს პასუხისგან. მხოლოდ 7% აცხადებს რამე სახის მოთხოვნით მიმართვის შესაძლებლობებს. ამ უკანასკნელთა გეგმები იხსნება უკვე მათ საკუთრებაში არსებული ფართების გამო უარის მიღების მაღალი მოლოდინით.

დიაგრამა 9. 1990-1993 წლების დევნილები, ვისაც არ მიუმართავს საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის - თქვენ ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი ხომ არ აპირებთ შეიტანოთ განაცხადი დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ცენტრში ბინის მისაღებად?



ბინის ან ფულადი კომპენსაციის მოთხოვნაზე უარის მიღების შემთხვევებს, 90-იანი წლების დევნილთა 43% გამორიცხავს და თვლის, რომ ყველა დევნილი „რაღაცას“ მიიღებს სახელმწიფოსგან. 11% სამართლებრივ ბრძოლაზე აკეთებს აქცენტს. აღსანიშნავია, რომ 40%-ს უჭირს პასუხი მოსალოდნელი ქმედითი ღონისძიებების შესახებ. ძალზე მცირე ნაწილს, 6% აქვს შემგუებლური განწყობა და სახელმწიფოს გადაწყვეტილებას, უბრალოდ, უსამართლოდ აფასებს.

დიაგრამა 10. როგორ მოიქცევით, თუ თქვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება?



აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილე რესპონდენტთა შორის, დევნილთა საპროტესტო მუხტის წინაპირობად, იმ ოჯახების სრულ უგულებელყოფას მიიჩნევენ, ვისაც არასოდეს მიუმართავს სახელმწიფოსთვის საცხოვრებლით ან ალტერნატიული ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების მოთხოვნით. კონკრეტულად, ამ სეგმენტის გაღიზიანების მოლოდინები რესპონდენტების აზრით, საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის ბოლო ეტაპებს უკავშირდება და უფრო მეტიც, რამდენიმე რესპონდენტი გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის გაჭიანურებას, სწორედ, ამ „ნაღმის“ აფეთქებით გამოწვეულ ხელისუფლების შიშს“ უკავშირებს.

უშუალოდ, ფოკუს ჯგუფის მონაწილე იმ დევნილების ნაწილი, რომლებსაც არასოდეს მიუმართავთ საცხოვრებლით დაკმაყოფილების თაობაზე, საკუთარ შანსებს ვერ აფასებენ. ერთი მხრივ, სურთ „სცადონ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შესაძლებელია“, თუმცა, ამ ეტაპზე არ აქვთ განსაზღვრული რა აქტივობებისა თუ ქმედებების საშუალებით „აიძულებენ“ სახელმწიფოს ფართის გამოყოფას.

ფოკუს ჯგუფზე გაჟღერდა მოსაზრება, რომ დროულად ბინის მისაღებად საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურებში მეგობრების ან ნათესავების ყოლა. ბინაში ოთახების რაოდენობასაც სარეიტინგო ქულები განსაზღვრავს და იგი გაიცემა საჭიროებისამებრ.

> *ზოგმა დევნილმა, ერთოთახიანის ნაცვლად, ორი და სამოთახიანი ბინა მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ქულების მიხედვით მათ ეს არ ეკუთვნოდათ, ხოლო უფრო „იღბლიანებმა" კი ერთის ნაცვლად რამდენიმე ბინა.* (ცხინვალიდან დევნილი, გორი)

საერთო ჯამში, შეკითხვაზე, პირველ რიგში, ვინ უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფომ ბინით და რა კრიტერიუმებით უნდა შეირჩნენ ეს ადამიანები, რესპონდენტებს მარტივი პასუხი აქვთ: ჩემნაირები. “ჩემნაირში” სხვადასხვა შემთხვევებში, სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანები იგულისხმებიან. თუმცა, პრიორიტეტულ კატეგორიებში მოიაზრებიან ის დევნილები, რომელთაც:

- არც სოფლად და არც ქალაქად კერძო საკუთრებაში არაფერი აქვთ;
- არასოდეს უსარგებლიათ შეღავათებით სახელმწიფოს მხრიდან;
- არასდროს მიუმართავთ სახელმწიფოსთვის დახმარების თხოვნით;
- ქირით მაცხოვრებელი და ნათესავებს შეკედლებული დევნილები;
- მრავალშვილიანი დევნილები და მარტოხელა დედები, ვისაც არ აქვს საცხოვრებელი ფართი;
- მეომრებისა და ომში დაღუპულთა ოჯახები;
- უბინაო, დევნილობის შემდეგ დაქორწინებული პირები.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების დასკვნის სახით, რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი, მიუხედავად საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართვიანობის სიხშირისა, მაინც იმედიანად არის განწყობილი. გაურკვევლობა, ძირითადად, პროცესის დასრულების საკითხს ეხება და არა, პროცესის მიმდინარეობას. შესაბამისად, ცხადია, რომ წლების განმავლობაში წარმოქმნილი პრობლემათა ხასიათის, რაოდენობის, სახელმწიფოსგან უკუკავშირის ხარისხისა და ფორმების მიუხედავად, ზოგადად, დევნილი მოსახლეობის ინიციატივიანობა ან ჩართულობა განსახლების პროცესში, მინიმალურია.

4.2. ორგანიზაციის წარმომადგენლები განსახლების პროცესის შესახებ

როგორც აღინიშნა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში, გამოკითხულ იქნა ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელთა ძირითად საქმიანობას იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა საკითხები წარმოადგენს. ორგანიზაციის წარმომადგენელთა გადმოცემით, დღეისთვის ძველ კოლექტიურ დასახლებებში მცხოვრები დევნილების საცხოვრებლით უზრუნველყოფის მდგომარეობა შემდეგნაირია:

- თბილისში ძველი კოლექტიური დასახლებებიდან, ჯერ კიდევ აქტუალურია სანატორიულ „ქართლი“-სა და სასტუმრო „უშბას“ საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემები. სანატორიუმი „ქართლის“ მაცხოვრებელთა ნაწილი კვლავ რჩება კონკრეტულ კოლექტიურ დასახლებაში, მიუხედავად შენობის ავარიულობისა. რესპონდენტთა გადმოცემით, დევნილთა სააგენტომ შენობაში მცხოვრებ ყველა ოჯახზე ადმინისტრაციული დაპირება გასცა და მათ განსახლების ორი გზა შესთავაზა:

1. დევნილებმა თბილისში ბინები თავად მოიძიონ, მათ შესყიდვას კი სააგენტო უზრუნველყოფს. კვადრატული მეტრის ფასი შეადგენს 600$ (დოლარის) ეკვივალენტს ლარში, ხოლო ბინის ფართობი ოჯახის სულადობის მიხედვით განისაზღვრება.

2. დევნილები დაელოდონ სააგენტოს მიერ შესყიდული ბინების მშენებლობის დასრულებას. ამ შემთხვევაში სააგენტო, გამგეობასთან ერთად, მათ ქირის თანხით უზრუნველყოფას სთავაზობს. თუმცა, დევნილთა მოთხოვნა ცალსახაა: ბინებით დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება.

- ბათუმსა და გორში ავარიულ, ნგრევად და ძველი კოლექტიური დასახლებებში მცხოვრები ყველა დევნილი უზრუნველყოფილია საცხოვრებლით (იგულისხმება ბინით უზრუნველყოფა, ან ალტერნატიული მეთოდით - ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფა). უფრო მეტიც, ბათუმში დღეისთვის არ ფიქსირდება ბინის მომლოდინე არცერთი დევნილი.

- უშუალოდ, გორში ბინის მომლოდინეთა რაოდენობის შესახებ, დაზუსტებული ინფორმაცია არ არის ცნობილი, ვინაიდან დევნილობის პერიოდში ქორწინებამ, ან მათ კუთვნილებაში არსებულმა სხვა კერძო საკუთრებამ, მათი მომართვიანობა ბინით უზრუნველყოფის საკითხზე, პასიურ რეჟიმში გადაიყვანა. ორგანიზაციის წარმომადგენელთა გადმოცემით, ერთი მხრივ, ამ ოჯახებს აქვთ ნიჰილისტური განწყობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხის მიმართ, ვინაიდან აქვთ ინფორმაცია პროცესის განგრძობადი ხასიათისა და გამჭვირვალობის ხარისხის შესახებ, მეორე მხრივ, არსებობს მათი გააქტიურების მოლოდინი, საცხოვრებლის მომლოდინეთა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ. ამასთან, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, გორის რაიონ სოფელ ძევერაში, მიმდინარეობს განსახლების მსურველი დევნილი ოჯახების მონიტორინგი, რომლის ფარგლებში უნდა განისაზღვროს 60-70 დევნილის საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების ადგილზე შესწავლა, ზუსტი სარეიტინგო ქულის განსაზღვრის მიზნით, რაც წარმოადგენს საცოვრებლით უზრუნველყოფის წინაპირობას.

- ზუგდიდში დევნილები რჩებიან „ფაიფურის ქარხნის“ ადმინისტრაციულ შენობაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე „ზდუ“-ს შენობაში.

- წყალტუბოში სანატორიუმის შენობებში დასახლებული დევნილები სრულად დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ფართებით, თუმცა, ზოგიერთ მათგანში კვლავ ბინადრობს რამდენიმე დევნილი, რომლებიც ალტერნატიული საცხოვრებლების საკუთრებაში არსებობის გამო (რესპონდენტთა გადმოცემით, არ ასაჯაროვებდნენ საკუთრებაში ბინების არსებობას), არ დაკმაყოფილდნენ საცხოვრებლით.

- ქუთაისში მიმდინარეობს 320 საცხოვრებელი ბინის განაწილების პროცესი, ბინების განაწილების მიზნით შესაბამისი კომისია ადმინისტრაციული დაპირების მქონე და სასამართლო გადაწყვეტილებების მქონე ოჯახებს (სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად) ბინას გადასცემენ განხილვის გარეშე, გაცემული დაპირების შესაბამისად.

დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის მიმდინარეობისას წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით, ორგანიზაციების წარმომადგენლებს საკუთარი მოსაზრებები აქვთ. ანგარიშში მოცემულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი:

1. საბინაო რესურსების პრობლემა - ბოლო ათწლეულში დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტრო 2013 წლიდან 2021 წლამდე აცხადებდა კონკურსს იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შესყიდვის მიზნით, მენაშენეებისგან საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შესყიდვის თაობაზე. საცხოვრებელი ფართ(ებ)ის 1კვ.მ-ის მაქსიმალური ფასი განსაზღვრული იყო ქალაქების მიხედვით და მაგალითად, თბილისში - შეადგენდა 550$-ის დოლარის ექვივალენტს. კონკურსის წესით ბინების შესყიდვა, რესპონდენტთა გადმოცემით, მეტი ეფექტურობით ხასიათდებოდა, რადგან 2013-2020 წლის პერიოდში 550 დოლარი ოპტიმალურ ღირებულებად ითვლებოდა, რაც მენაშენეთა დაინტერესებას და მონაწილეობის ფაქტებს ზრდიდა. შესაბამისად, დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის მაჩვენებლები საკმაოდ სოლიდური იყო (2013 წლიდან ხუთწლიან პერიოდში, დაახლოებით 12 ათასამდე დევნილი დაკმაყოფილდა). ამ პირობებში გადაეცათ დევნილებს ბინები „დირსის“, „ჰუალინგის“, „ქარვასლის“ ტერიტორიებზე.

თუმცა, 2021 წელს უძრავი ქონების ბაზარზე ფასების კოლოსალურმა ზრდამ, კონკურსში მენაშენეთა ჩართულობა მინიმუმამდე დაიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს თბილისში 1 საცხოვრებელი ფართ(ებ)ის 1კვ.მ-ის მაქსიმალური ფასი განისაზღვრა 600$ დოლარის ექვივალენტით. შესაბამისად, სამინისტროს გადაწყვეტილებით 2021 წლიდან კონკურსის წესით ბინების შესყიდვა შეიცვალა ტენდერის გამოცხადების წესით, რაც გულისხმობდა სახელმწიფოს სუბსიდირებით მშენებლობების განხორციელებისთვის სატენდერო პირობებით სამშენებლო კომპანიების შერჩევას. შესაბამისად, სამშენებლო კომპანიების შერჩევისა და უშუალოდ მშენებლობებისთვის განკუთვნილმა ვადებმა, დევნილთა საცხოვრებლებით უზრუნველყოფის პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობების დასრულებისა და ეტაპობრივად დევნილთა შესახლების პროცესის ვადად განსაზღვრულია 2022-2025 წლები.

2. სახელმწიფოს გადაწყვეტილება, დევნილთათვის საკუთრებაში გადაეცა მათ მფლობელობაში არსებული ქონება, ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით, პოზიტიურად უნდა შეფასდეს, თუმცა, აღნიშნულ პროცესში გამოვლენილმა ნაკლოვანებებმა, პროცესში ჩართული მხარეების არაკოორდინირებულმა მოქმედებებმა პრივატიზაციის პროცესი გარკვეულწილად არაეფექტური გახადა. რესპონდენტთა გადმოცემით, 2009-2012 წლებში დევნილთა მიერ მათ მფლობელობაში არსებული ფართების (კომპაქტური ჩასახლების ობიექტები) პრივატიზაციის პროცესი მიმდინარეობდა არსებითი კანონდარღვევებით: სახელმწიფოს ჰქონდა არასწორი წარმოდგენა, რომ კოლექტიურ ცენტრებში არსებული საცხოვრებელი ფართების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა უთანაბრდებოდა სათანადო საცხოვრებლით დაკმაყოფილებას; პროცესს ახლდა ტექნიკური

პრობლემები (მაგ. ფართის უზუსტობები, ოჯახის შემადგენლობა, აზომვითი ნახაზები და ა.შ) და ამასთან, ჩართული უწყებების არაეფექტური თანამშრომლობა; ხელშეკრულებებზე ხელმომწერი იყო ოჯახის ერთი წევრი, დანარჩენი ოჯახის წევრები - მესამე პირები. ამიტომ მესამე პირებისთვის ხელშეკრულებები ძალაში შეიძლებოდა შესულიყო თანხმობის წერილობით გაცხადების შემთხვევაში; რიგ შემთხვევებში დევნილთა საკუთრებაში აღმოჩნდა ქონება, რომელიც სათანადო საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა, განსაკუთრებით, უნდა აღინიშნოს მცირე ფართების საკუთრებაში გადაცემა.

რესპონდენტთა გადმოცემით, აღნიშნული დარღვევების გამო იმატა სასამართლოში მიმართვიანობამ და საქმეთა დიდ ნაწილზე დავა დღემდე მიმდინარეობს. ორგანიზაციების წარმომადგენლების ინფორმაციით, დღეს მიუხედავად იმისა, რომ ყველა მსგავსი კატეგორიის დავა არის ხანდაზმული (ამოწურულია 3 წლიანი გასაჩივრების ვადა), მიღებული გადაწყვეტილებების დინამიკის გათვალისწინებით შესაძლებელია სასამართლოში საქმის წარმოება ძველი პრივატიზაციის შედეგების გაბათილების მოთხოვნით. მოცემული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრინციპებს შორის, პრივატიზაციის პროცესი, რომელთა ხელშეკრულებების ძირითადი ნაწილი (დაახლოებით, 80%-ზე მეტი) 2013 წლამდე დაიდო, ასევე, იქცა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის სრული უზრუნველყოფის მნიშვნელოვან პრობლემად.

> *ამასთან, განსახლების პრობლემები გამოწვეული იყო იმით, რომ 90-იან წლებში როდესაც ომის შედეგად დავტოვეთ ჩვენი სახლები დევნილები განსახლებული იყვნენ ძირითადად იმ მუნიციპალიტეტში, სადაც უფრო ბევრი თავისუფალი სივრცე იყო, სადაც მეთი სანატორიუმები იყო, მაგალითად, წყალტუბოში, ასევე ბათუმში და ქობულეთში ძველი სასტუმროების შენობებში. მაგალითად, თბილისში სასტუმრო „ივერიიდან" აფხაზეთიდან დევნილების გამოსახლება მოხდა. იგივე იყო ბათუმში და ქობულეთში, როდესაც სასტუმროებიდან გამოასახლეს. მაშინ არც სტრატეგია ჰქონდათ არც გეგმა, ვიღაცამ დაადგინა, რომ 5000 დოლარად შეეძლოთ ბინის ყიდვა, ამ ადამიანებს გადასცეს ეს ფული, ზოგიერთის შემთხვევაში ეს 7000 იყო და მათ მოუწიათ ამ საცხოვრებლის დატოვება, მიუხედავად იმისა, ისინი თანახმანი იყვნენ თუ არა. ამან მოგვცა შედეგად ის, რომ იმდროინდელი დაკმაყოფილებული დევნილების არც თუ ისე მცირე ნაწილი ისევ დარჩა უბინაოდ. როგორც კი თანხის დარიგება მოხდა, ვთქვათ, ერთ ოთახიანი ბინა თუ ღირდა, ვთქვათ, 1500 დოლარი, ერთ კვირაში გახდა კოლოსარული თანხა.* (ნანა)

3. გამოწვევას წარმოადგენს, საცხოვრებლით უზრუნველყოფის უარის შემთხვევაში გასაჩივრების მექანიზმი. კერძოდ, სამინისტრო საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ წერილობით გადაწყვეტილებას დროულად არ გაგზავნას ადრესატ დევნილ ოჯახებთან. არამედ, გადაწყვეტილება გადაეცემათ მხოლოდ დევნილი ოჯახის მოთხოვნის შემთხვევაში. ამასთან, წერილობით გადაწყვეტილებებში არ არის ასახული გასაჩივრების მექანიზმებზე მითითება, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მიუთითოს გასაჩივრების პროცედურები. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სამინისტროს ამგვარი ქმედებების მასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე, საფუძვლიანია ვარაუდი, რომ პროცედურების დარღვევა მიზანმიმართულია, გასაჩივრების ალბათობის შემცირების მიზნით.

4. რესპონდენტთა გადმოცემით, ის დევნილები, რომლებიც ცხოვრობენ სხვადასხვა სანატორიუმებში და სახელმწიფო ბალანსზე არსებულ შენობებში და გარკვეულ შემთხვევებში მათ ეს საცხოვრებელი ფართები დაუკანონდათ, საცხოვრებლის მომლოდინეთა რიგში ვეღარ იქნებიან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ არ არსებობს შენობების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. თავად, დევნილების დამოკიდებულებით, ისინი „არ იყვნენ თანახმა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ და იძულებული ხდებოდნენ, რომ თანხმობა განეცხადებინათ ამ ფართების დაკანონებაზე".

ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებებით, პრობლემა მდგომარეობს დევნილთა უფლებების შესახებ ინფორმაციის არქონაში, რაც პერმანენტულად აქტუალურია დევნილებისთვის, მიუხედავად, სხვადასხვა პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კონკრეტულ საკითხებზე ჩატარებული აქტივობებისა.

> *დევნილს უნდა სცოდნოდა საკუთარი უფლებების შესახებ მას ჰქონდა და დღესაც აქვს უფლება, რომ უარი თქვას შეთავაზებულ ფართზე და ამ ფართიდან გამოსახლების უფლება არავის აქვს მანამ, სანამ ალტერნატიულ საცხოვრებელს არ შესთავაზებენ. მათ ვერც მომლოდინეთა სიიდან ვერ ამოიღებენ.*

4.3 ინფორმირებული გადაწყვეტილება

კვლევამ აჩვენა, რომ დევნილთა ინფორმირების ხარისხი, საცხოვრებლით უზრუნველყოფის პირობების შესახებ, სავალალოდ დაბალი მაჩვენებლებით ფასდება. გამოკითხულთა ნახევარზე მეტის გადმოცემით, მათ არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია განსახლების პროცედურებისა თუ პირობების შესახებ. 2008 წლის დევნილებში, კონკრეტული მაჩვენებელი განსაკუთრებით საგანგაშოა, რადგან მხოლოდ 12% ადასტურებს სათანადო ინფორმირებულობას.

კვლევის შედეგებით, 2008 წლის დევნილებისთვის თითქმის სრულიად უცნობი იყო განსახლების პირობების შესახებ ცალკეული საკითხები. განსახლებისთვის მნიშვნელოვან პარამეტრებზე მათი ინფორმირებულობის ხარისხი, ძირითადად 5% მდე მერყეობს, არასრულწლოვნების ან ოჯახის გარეშე\დარჩენილი ბავშვების საცხოვრებელი საჭიროებების გათვალისწინება, რომლის შესახებ ინფორმირებაზეც 9% დადებითად პასუხობს, არ გამორიცხავს საკუთრივ, დევნილთა ინიციატივებს, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული მაჩვენებელი, ყოველგვარ ზღვრულ ნორმაზე დაბალია.

90-იანი წლების დევნილთა ინფორმირების ხარისხი საცხოვრებელი პირობების რეაბილიტაციის/მშენებლობის სტანდარტების შესახებ ყველაზე მაღალია (24%). 17% აცხადებს, რომ ოჯახის ერთიანობაზე ზრუნვა/გათვალისწინება, ოჯახის ერთად დარჩენის სურვილის შემთხვევაში, საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესში გათვალისწინებულ იქნა, ხოლო 14%-ს აქვს საცხოვრებელი ადგილის წინასწარ დათვალიერების გამოცდილება.

დიაგრამა 11. ფლობთ თუ არა სრულ ინფორმაციას განსახლების პირობების შესახებ?



უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სამიზნე ჯგუფში დევნილთა ინფორმირების ძირითად წყაროს ახლობლები/მეგობრები (54%) და არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები (31%) წარმოადგენს, რომლებიც რიგ შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით, რიგ შემთხვევაში დევნილთა მიმართვიანობის საფუძველზე გასცემდნენ ინფორმაციას. თუმცა, მათი უმრავლესობა (საერთო მაჩვენებლით 88%) თვლის, რომ ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი სტრუქტურა სახელმწიფო ორგანიზაციები - ადგილობრივი თვითმმართველობა (21%), დევნილთა სააგენტო (47%) ან სამინისტრო უნდა (11%) იყოს.

	1990-1993 წლების დევნილები		2008 წლის დევნილები	
	დიახ	არა	დიახ	არა
საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიული შერჩევა	5%	95%	1%	99%
ოჯახის ერთიანობაზე ზრუნვა/გათვალისწინება, ოჯახის ერთად დარჩენის სურვილის შემთხვევაში	17%	83%	4%	96%
არასრულწლოვნების ან ოჯახის გარეშე\დარჩენილი ბავშვების საცხოვრებელი საჭიროებების გათვალისწინება	7%	93%	9%	91%
საცხოვრებელი პირობების რეაბილიტაციის/მშენებლობის სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიღება	24%	76%	4%	96%
საცხოვრებელი პირობების რეაბილიტაციის/მშენებლობის სტანდარტებთან არსებული/მომავალი საცხოვრებელი პირობების შედარება/საცხოვრებელი ადგილის დათვალიერება, მისი შეფასების მიზნით	8%	92%	2%	98%
მოწყვლადი ოჯახების, ხანდაზმულების, ქმედითუუნარო ადამიანებისათვის საცხოვრებელი ადგილების შეთავაზების კანონით განსაზღვრული პირობების განსაზღვრა	4%	96%	0%	100%
საცხოვრებელი ადგილის დათვალიერება, მისი შეფასების მიზნით	14%	86%	2%	98%

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებელი პირების დასახელებისას მსგავსია დევნილების მოსაზრებები - „პასუხისმგებელია სახელმწიფო“. მათი აზრით, პრობლემის მოგვარება ხელისუფლების ფუნქციებში შედის. ამ მხრივ, მხოლოდ ერთეულები აკონკრეტებენ საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ან დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს კომპეტენციებს.

მნიშვნელოვანია, რომ რესპონდენტთა განწყობა, ახალ ან რეაბილიტირებულ კოლექტიური დასახლების ცენტრებში ბინით დაკმაყოფილების მხრივ, ბოლო პერიოდში გაცილებით ოპტიმისტურია. მათ ამგვარ განწყობას განაპირობებს აქტიური ახალი კოლექტიური ცენტრების მშენებლობა/რეაბილიტაცია და ამასთან, მათი მსგავსი პირობების მქონე ოჯახების ბინით დაკმაყოფილების პრეცედენტთა სიმრავლე.

4.4 საბინაო საჭიროებების შესახებ ინფორმირებულობა

კვლევის მონაწილეთა საბინაო პირობების შესახებ, ბოლო 5 წლის განმავლობაში დაინტერესება, თითოეულ სამიზნე სეგმენტში, მეტ-ნაკლებად პოზიტიურ შედეგს აჩვენებს, თუმცა, შემთხვევათა ნაწილი გულისხმობს პრობლემების აღწერის/ინფორმაციის მიღების შესახებ მონაცემებს (34-41%), თუმცა, მათი შედეგიანობის გაზომვა რესპონდენტებს უჭირთ სხვადასხვა მიზეზების გამო (არ გასულა სათანადო დრო, თავს იკავებენ კრიტიკისგან, უარყოფითი გამოხმაურების მოლოდინის გამო, რთული მოსაგვარებელია და დრო სჭირდება და ა.შ.).

რესპონდენტთა 22-34% - ის გადმოცემით, მათი პრობლემებით არავინ დაინტერესებულა, ხოლო 12-18% ის გადმოცემით, პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

დიაგრამა 12. დაინტერესებულა თუ არა ვინმე თქვენი საბინაო პრობლემებით ბოლო 5 წლის განმავლობაში და შემოუთავაზებიათ თუ არა მათი გადაჭრის კონკრეტული გზები?



დევნილთა საცხოვრებელი პირობებითა და არსებული პრობლემებით დაინტერესებულ მხარეთა შორის, არასამთავრობო სექტორი ყველაზე აქტიურია, განსაკუთრებით 2008 წლის დევნილებში- 45%. 90-იანი წლების დევნილი მოსახლეობის 21%-ის გადმოცემით, ადგილი ჰქონდა დევნილთა სააგენტო/ წარმომადგენლობების მხრიდან საბინაო პირობებით დაინტერესებას ბოლო 5 წლის განმავლობაში და პირიქით, 2008 წლის დევნილთა მხოლოდ 4% აცხადებს სააგენტოს მხრიდან დაინტერესების შესახებ. აღსანიშნავია, რაიონების დეპუტატთა წინასაარჩევნო პერიოდში დევნილთა პრობლემებით დაინტერესების მაჩვენებლები, რაც 7-10%-ს იკავებს.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა კონკრეტული შემთხვევა, რაც ინფორმაციის მომწოდებლების მხრიდან პოზიტიურად ფასდება. წლების წინ წალენჯიხასა და ჯვარში შეიქმნა ქუჩის ამხანაგობები, თითოეულ ქუჩას ჰყავდა მამასახლისი, რომლებიც პრობლემატურ საკითხებზე ინფორმაციას სისტემატურად აწვდიდნენ რწმუნებულებს, იმართებოდა შეხვედრები საკრებულოს ადგილობრივ დეპუტატებთანაც. რესპონდენტები ამბობენ, რომ ამ ინიციატივამ იმ პერიოდში გაამარტივა ურთიერთობები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მოქალაქეებს

შორის, რადგან ზოგადად, ინიდივიდუალური მოქალაქეების ჩართულობა ამ ორგანოების მუშაობაში შეზღუდულია. რესპონდენტების ნაწილი ამას ძირითადად, სოფლებიდან ახალგაზრდობის მასიურ გადინებას უკავშირებს, თუმცა, მეორე მხრივ, გამოითქვა აზრი, რომ ამ მიმართულებით, საშუალო ასაკის მოსახლეობა უფრო აქტიურია.

სოფლის რწმუნებულის შეზღუდული უფლებამოსილებების გამო უკმაყოფილების გამოხატვის მიუხედავად, რესპონდენტების ნაწილი თვლის, რომ რწმუნებული მაინც მნიშვნელოვანი რგოლი იყო მოსახლეობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის ურთიერთობაში, თუმცა, მათ საჯარო სტატუსი დაკარგეს და ახლა რიგ ადგილებზე მოხალისეობრივად მუშაობენ. გამოკითხულების აზრით, იმის მიუხედავად, რომ რწმუნებულის თითქმის ერთადერთი მოვალეობა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის ინფორმაციის გაცვლა წარმოადგენდა, მათი პოზიცია მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც კარგად იცნობენ საკუთარი სოფლის რეალობას, სასიცოცხლოდ იყვნენ დაინტერესებულები შესაბამისი პრობლემების მოგვარებაში და ცდილობენ ტერიტორიული ერთეულის ინტერესების ლობირებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. რესპონდენტები თვლიან, რომ რწმუნებულის ფუნქციის მიკუთვნება რომელიმე ადგილობრივი სტრუქტურისთვის არ იქნება ურიგო.

მათგან განსხვავებით, საკრებულოს ზოგიერთი დეპუტატის მიმართ გამოითქვა უკმაყოფილება, რომ არჩევნების შემდეგ, ისინი იმ სოფლებში იშვიათად ჩადიან, სადაც აირჩიეს და ნაკლებად ინტერესდებიან მათი პრობლემებით, თუმცა ფოკუს ჯგუფებზე მოიყვანეს საპირისპირო მაგალითებიც, როდესაც დეპუტატები ყოველკვირეულად, კვირის შერჩეულ დღეს სტუმრობენ სოფლებს, რაც რაოდენობრივი კვლევის რიცხვებში არ გამოიკვეთა. ამასთან, გამოითქვა უკმაყოფილებაც, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივებს პრეტენზია აქვთ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ, როგორც წესი, ეს საზოგადოდ, მათ გარშემო არსებულ პრობლემებს და არა დევნილებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

დიაგრამა 13. ვინ დაინტერესდა თქვენი საბინაო პრობლემებით?



თვისებრივი კვლევის ფარგლებში, კონკრეტულად, საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ძირითადად, კოლექტიური დასახლების დევნილები საუბრობენ. ზოგადი პრობლემების გარდა, რაც მეტ-ნაკლებად, საერთოა შენობებისთვის, განსაკუთრებული სიმწვავით სხვადასხვა დასახლებებისთვის ინდივიდუალური პრობლემები იკვეთება.

საბინაო პრობლემებზე აქცენტები წყალტუბოს სანატორიუმების კოლექტიური დასახლების ცენტრებზე, ყველაზე მკაფიო იყო. რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ ზოგადად, ძირითადი პრობლემა დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართის სივიწროვეა, ეს არ არის ერთადერთი, რაც წყალტუბოს სანატორიუმებში დასახლებულ დევნილთა გაუსაძლის პირობებზე მეტყველებს. ძველი სანატორიუმების ნაწილში განთავსებულ ბინებში ჩატარებულია კოსმეტიკური რემონტი, თუმცა წლების განმავლობაში, შენობების სიძველიდან გამომდინარე, მხოლოდ რემონტის კვალი დარჩა. მაცხოვრებელთა უმრავლესობამ მოახერხა ბინებში სასმელი წყლის შეყვანა. თუმცა, ზოგიერთ მათგანში, განსაკუთრებით მაღალ სართულებზე მდებარე ბინებში, დაბალი წნევის გამო, რესპონდენტები მაინც ვერ ახერხებენ ონკანის წყლის გამოყენებას და ოჯახების წყლით მომარაგება ეზოებიდან უწევთ. არის შემთხვევები, სადაც ცენტრალური წყლის მილები დაზიანებულია და მცირე მონაკვეთებზე მილების შეკეთებამ ვერ მოაგვარა ნაწილი ოჯახების სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა. გარდა ამისა, რესპონდენტებს შორის არიან ისეთებიც, ვინც საერთო აბაზანით, სამზარეულოთი და საპირფარეშოთი დღემდე სარგებლობს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სენაკის სამხედრო დასახლებაში განგრძობითი ხასიათის მოუგვარებელი პრობლემაა წყალსარინების (კანალიზაციის) ქსელის გამართვა. რესპონდენტის გადმოცემით, სამხედრო დასახლების მოსახლეობა პერმანენტულად მიმართავს ადგილობრივ თვითმმართველობას, პრობლემის მოგვარების მიზნით. თვითმმართველობის მხრიდან არაერთხელ განხორციელდა ადგილზე პრობლემის შესწავლა, თუმცა, მიმართვიდან მიმართვამდე - პრობლემა გადაუჭრელია. უფრო მეტიც, პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად - პერიოდულად სატუმბი მანქანების მომსახურება განისაზღვრა. იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობას სატუმბი სამუშაოების შესრულების შედეგად, არ ეზღუდება წყალსანირების ქსელით სარგებლობა, დროის ხანგრძლივობამ პრობლემა ერთგვარ აღმოუფხვრელ მოცემულობად აქცია. თუმცა, სეზონურად (ზაფხულის პერიოდში), მიმდებარე ტერიტორიაზე ფეკალიების ჟონვის შედეგად არსებული ანტისანიტარია და გაუსაძლისი სუნი, ყოველწლიურად „აცოცხლებს“ პრობლემის აღმოფხვრისთვის ბრძოლის გზებს დევნილებში. მაგრამ დღემდე პრობლემა მოუგვარებელია.

შავშვების დევნილთა დასახლების რესპონდენტები სასმელი წყლის სანიტარული მდგომარეობის პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი გადმოცემით, წყალი, რომელიც დასახლებას მიეწოდება სასმელად უვარგისია წლების განმავლობაში. გარდა ამისა, დასახლებაში „ნახევრად მოწყობილი“ სანიაღვრე სისტემა საფრთხეს წარმოადგენს ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, რადგან სანიაღვრე არხები არ არის გადახურული, მიუხედავად ღრმა კალაპოტისა. შესაბამისად, რესპონდენტების გამოცემით, განსაკუთრებით საფრთხის შემცველია ბავშვებისთვის.

გარდაბნის დევნილთა დასახლების რესპონდენტთა გადმოცემით, ბინების გამყოფი და გარე კედლები იმდენად თხელია, რომ არათუ ვერ ვერ უზრუნველყოფს მეზობლებისგან იზოლირებას და არღვევს პრივატული ცხოვრების შესაძლებლობებს, ნალექის დროს წვიმის ხმისგან ვერ იცავს შიდა სივრცეებს. ამასთან, ბინების უმრავლესობაში ფანჯრებიდან წვიმის დროს ინტენსიურად ჟონავს წყალი.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული პრობლემების მოგვარება, რესპონდენტთა აზრით, პირველ რიგში დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოვალეობაა. იმ შემთხვევაში, თუ სხვა ინსტანციების ჩარევის საჭიროება დადგება, ფუნქციები ბუნებრივია გადანაწილდება სხვადასხვა უწყებებზე, მაგრამ ინფორმაცია პრობლემების არსებობის შესახებ, ნებისმიერ სახელისუფლო საფეხურამდე მათი საშუალებით უნდა მივიდეს.

რესპონდენტები წინასაარჩევნოდ სახურავების შეკეთებისა და მსგავსი ტიპის "უმნიშვნელო სამუშაოების" მხოლოდ ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა. რესპონდენტთა გადმოცემით, ძირითადი პრობლემები ისევ მოუგვარებელი დარჩა. მითუმეტეს, რომ კოლექტიურ ცენტრთა დიდი უმრავლესობა წლების განმავლობაში განმავლობაში არ გარემონტებულა, რის გამოც ისინი საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ძირითად შემთხვევებში, თავად დევნილთა აქტივობა კომუნალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის მეტად ინტენსიური ხასიათისაა, ვიდრე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან გაწეული დახმარება, რაც მათი მხრიდან, ადეკვატურად ფასდება. ცხადია, რომ საცხოვრებლის გრძელვადიანი გადაცემის პროცესი მათი ეკონომიკური ინტეგრაციის შემადგენელი და ხელშემწყობი ფაქტორია, რაც ხსნის სწორედ ამ უკანასკნელის მნიშვნელოვნებას და საყოფაცხოვრებო პრობლემებზე მინიმალურ აქცენტებს.

გაძვირებული კომუნალური გადასახადები დღეს როგორც დევნილებისათვის, ასევე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისათვისაც გადაუჭრელი პრობლემაა. კრიტიკულ ზღვარზე მყოფი დევნილი ოჯახებისათვისახალდასახლებებში,ასევესაკუთრებაშიგადაცემულრეაბილიტირებულსაცხოვრებლებში, რომლებიც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შეპირებული სამუშაო ადგილებით, რესპონდენტების აზრით, აუცილებელია დაწესდეს შეღავათები: ზამთარში მოხმარებული ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადი გადავადდეს და გადანაწილდეს ზაფხულის თვეებზე.

4.5 ინტეგრაცია

საქართველოს მთავრობის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სხვადასხვა წლების ყველა სამოქმედო გეგმის მიხედვით, სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებული პირების ინტეგრაცია, რაც მათ სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას გულისხმობს. კვლევის ფარგლებში ინტეგრაციის საკითხების განხილვა, სწორედ, სოციალურ-ეკონომიკური საკითხებისკენ იყო მიმართული, მიუხედავად იმისა, რომ არ ზღუდავდა კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ საკითხებში დევნილთა ჩართულობის შესახებ თემებს.

აღსანიშნავია, რომ დევნილთა უმრავლესობა თავად ტერმინს „ინტეგრაცია" განიხილავს, როგორც საზოგადოებასთან გაერთიანების, იძულებით გადაადგილების ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, სხვადასხვა უფლებებით სარგებლობას. თუმცა, ნაწილი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება დევნილების სტიგმატიზაციისა და საზოგადოების დამოკიდებულების საკითხებს, როგორც ხანდაზმულ და არააქტუალურს. რესპონდენტთა ნაწილი, კი, ხაზს უსვამს საზოგადოებაში დამკვიდრებული, ხშირ შემთხვევაში ნეგატიური, სტერეოტიპების არსებობასთან „შეგუებას", რომლებიც მათი „სტიგმატიზაციის" ერთ-ერთ გამოვლინებად ითვლება.

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა თავს ადგილობრივად ინტეგრირებულად თვლის. თუმცა, ინტეგრაციის შესახებ მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი არჩევანის შესაძლებლობა, არ აღწერს დევნილი მოსახლეობის შეხედულებებს ინტეგრაციის შინაარსისა და არსებული სიტუაციის შესახებ.

თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა ინტეგრაციის საკითხების განხილვას დიდი დრო დაუთმეს. მათი გადმოცემით, იძულებით გადაადგილებული პირების ჩამოსახლებით გამოწვეული ცვლილებები საგრძნობი იყო, ძირითადად, 90-ანი წლების ომების დასრულებიდან 4-5 წლის მანძილზე. ამ პერიოდში, დევნილები ცდილობდნენ ადაპტაციას ადგილობრივ პირობებთან, ცდილობდნენ თავის დამკვიდრებას, საარსებო საშუალებების პოვნას, შეგუებას მოსახლეობასთან. 2008 წლის დევნილთა მდგომარეობა ამ მხრივ, შედარებით უკეთესი იყო, რადგან მათი უმრავლესობა კოლექტიურ დასახლებებში დასახლდა და მოსახლეობასთან შეგუებით გამოწვეული პრობლემები ამ ფაქტორმა მნიშვნელოვნად შეამცირა.

დიაგრამა 14. მიიჩნევთ თუ არა თავს ადგილობრივად ინტეგრირებულად?



ინტეგრაციის პრობლემებზე მინიმალურად საუბრობენ ახალგაზრდები. რჩება შთაბეჭდილება, რომ მათ არ ესმით საზოგადოებასთან ინტეგრაციის პრობლემების შესახებ დასმული კითხვების მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ სმენიათ როდესაც დევნილი ახალგაზრდები არ ამხელდნენ თანატოლებთან თავიანთ სტატუსს ან სკოლაში ბულინგის შემთხვევების შესახებ, აღნიშნავენ, რომ მათი გარემოცვა ამ პრობლემებით არ ხასიათდება და უჭირთ მსგავსი შემთხვევების ფაქტობრივი დადასტურება.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად, ყველა ახალგაზრდა რესპონდენტი ამბობდა, რომ დღეს ეს პროცესი დასრულებულია და ისინი სულ უფრო ემსგავსებიან ადგილობრივებს. ახალგაზრდების აზრით, მოცემულ ეტაპზე, ძირითადი განსხვავება დევნილებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის, კერძო საკუთრების ფორმა და ფლობაა (კოლექტიური დასახლებები), ზოგიერთი რესპონდენტის წარმოდგენით კი, უფრო მაღალია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელიც.

აფხაზეთიდან დევნილი რესპონდენტები ამბობენ, რომ მენტალური განსხვავებები და ამასთან დაკავშირებული სირთულეები ადგილობრივებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის ნაკლებად არის (მათი თქმით, განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოში ჩასახლებული დევნილების პირობებისგან, რადგან გარემო, რომელიც მათ დახვდათ, აღქმულია, როგორც ძალიან განსხვავებული). ძირითადად, ამას იძულებით გადაადგილებული პირების და ადგილობრივების საერთო ძირებს, ზოგჯერ კი ნათესაურ კავშირებსაც უკავშირებენ - გამოკითხული რესპონდენტების ინფორმაციით, დევნილების ნაწილი, ომის შემდეგ, საკუთარი წინაპრების მიწებს დაუბრუნდა ან ჩასახლებისთვის ის ადგილები აირჩია/ იმ ადგილებში შეჩერდა, სადაც ნათესავები ეგულებოდა. ამას ემატება დევნილების ჩამოსახლებიდან გასული წლები, რასაც მოყვა როგორც ზრდასრული დევნილების ასიმილირება ადგილობრივებთან, ასევე ახალი თაობის გაზრდა ახალ გარემოში, რომლებისთვისაც, სწორედ ეს გარემოა მშობლიური. ამას ემატება იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ქორწინების შემთხვევებიც.

ტერიტორიულ ერთეულებზე დევნილებისა და ადგილობრივების ბალანსი, რესპონდენტების აზრით, თავის მხრივ, ინტეგრაციის კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. მეტიც, ზოგიერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ისევე უხდებოდა ადაპტირება იძულებით გადაადგილებულ პირებთან, როგორც ამ უკანასკნელთ - მათთან.

გამოკითხულების ნაწილი თითქმის ვერ იხსენებს კონფლიქტური სიტუაციების მაგალითებსაც ადგილობრივ მოსახლეობასა და დევნილებს შორის, თუმცა, მაინც შესაძლებელია, თვალი გავადევნოთ იმ ცვლილებებს, რომლებიც მუნიციპალიტეტებში იძულებით გადაადგილებული პირების მასობრივმა ჩასახლებამ მოიტანა. პოზიტიურ ფაქტორებს შორის რესპონდენტები გამოყოფენ:

- დევნილთა ჩასახლებამდე, მიტოვებული და გაპარტახებული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის მეტ-ნაკლებად მოწესრიგებას - გაკეთდა გარე განათება, შენობები გადაურჩა დანგრევას და ბოლომდე მწყობრიდან გამოსვლას, რადგან რესპონდენტის აზრით, ადამიანების რიცხვის ზრდა, ძალაუნებურად, ააქტიურებს საზოგადოების შეკვეთას ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

- დევნილთა ჩასახლებამ შესაბამის ტერიტორიებზე გაზარდა ადგილზე პროდუქციის გასაღების ბაზარი, გაფართოვდა ვაჭრობა.

- დევნილებმა შემოიტანეს ყოველდღიური ცხოვრების ახალი კულტურა - ახალი კერძები, ჩაცმის ახლებური სტილი და სხვა.

- დევნილებმა შემოიტანეს სოფლის მეურნეობის წარმოების ახალი კულტურა - მოყავთ განსხვავებული, ადგილობრივებისთვის შედარებით უცხო კულტურები (საზამთრო, ნესვი), განსხვავებულად ამუშავებენ მიწას და სხვა.

- დევნილებისთვის განხორციელებულმა სხვადასხვა პროექტებმა დადებითი შედეგები მოიტანა ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც - სხვადასხვა დროს ჩამოდიოდნენ ექიმები, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირებთან ერთად, სამედიცინო მომსახურებას ადგილობრივ მოსახლეობასაც უწევდნენ; დევნილებისთვის აშენდა სტადიონები, რომელზეც ადგილობრივი და დევნილი ბავშვები ერთად თამაშობენ; გაიხსნა სარეაბილიტაციო ცენტრები დევნილი შშმ ბავშვებისთვის, სადაც მათთან ერთად წერა-კითხვას, ხატვას, ჭრა-კერვას ადგილობრივ შშმ ბავშვებსაც ასწავლიდნენ; დევნილების საბავშვო ბაღით ადგილობრივი მოსახლეობაც სარგებლობს და ა.შ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ დასახელებულ შედეგებს რესპონდენტები, ძირითადად, დევნილთა ჩამოსახლების პირველ წლებს უკავშირებენ, ამჟამად კი, იძულებით გადაადგილებული პირების ადგილობრივებისგან მკაფიოდ განცალკევებულად აღქმა დაკარგულია. როგორც რესპონდენტების საუბრიდან ირკვევა, თუ წლების წინ, კონკრეტულ ადამიანზე მისათითებლად სიტყვა "დევნილი" აუცილებელი ეპითეტი იყო, ახლა მათ მხოლოდ სახელებით მოიხსენიებენ, ისევე, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას. ზოგიერთ იძულებით გადაადგილებულ პირში ტერმინები "დევნილი", "ლტოლვილი" ცალსახა ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს, რადგან მათ აღქმაში, ეს სიტყვები ადგილობრივზე უფრო დაბლა მდგომის სტატუსს მოიაზრებს.

თუმცა, რესპონდენტების მცირე ნაწილი აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში დევნილთა პირველი ნაკადის გაჩენის ხანგრძლივი პერიოდის მიუხედავად, ერთი მხრივ, საზოგადოებისთვის მნიშვნელობა ვერ შეიძინა „დევნილისა“ და „ლტოლვილის“ სტატუსს შორის განსხვავებამ და ამასთან, არ კარგავს აქტუალობას ტერმინ „ლტოლვილის“ ნეგატიური გამოყენების ფაქტები დევნილებთან მიმართებაში.

> *ჩვენთან მუნიციპალიტეტში მივედი და მისაღებში ერთმა ქალმა ხელი გამოიშვირა ჩემსკენ - ისევ ეს ლტოლვილები.. რით ვერ ამოიწურა თქვენი პრობლემებიო, მომაძახა და ზურგი შემაქცია.*
> (ცხინვალიდან დევნილი, გორი)

ლტოლვილების ნისიებზე“ იმხელა ხმაზე გაყვიროდა მაღაზიის გამყიდველი, კონფლიქტი მომივიდა. სიმართლე გითხრათ?! მოწყვლად ჯგუფებს გვეძახიან, მაგრამ ნისიების რვეულში 100 კაცს შორის, მაქსიმუმ 5 თუ იქნებოდა დევნილი. მაგრამ უნდა, რომ „ლტოლვილი“ დაგიძახოს. ამით ხომ ყველაფერი ნათქვამია, მაგრამ ფიქრობს, იქნებ სხვამ ვერ მიიღო სათანადოდ და „ლტოლვილს“ რომ ნისია აქვს, ამით ცდილობს დააკნინოს. (აფხაზეთიდან დევნილი, წყალტუბო)

საინტერესო იცით რა არის?! ბავშვმა მაქსიმალური ქულები მიიღო მისაღებ გამოცდებზე და ათასი კომენტარი წავიკითხე, რომ „ლტოლვილებშიც არიან ყოჩაღები“ - ამ კონტექსტის. სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს. (აფხაზეთიდან დევნილი, ზუგდიდი)

ლტოლვილებს“ გვეძახიან, მაგრამ ისეთ კორპუსში ვცხოვრობდით, თავმოყვარე ადამიანი რომ არ გაჩერდებოდა და საცოდავად და წყალწაღებულად რომ მიგიჩნევს სხვა, არ მიკვირს. ახალგაზრდებისთვის დევნილის სტატუსმა „საწყალი ლტოლვილის“ სტერეოტიპი არ დაამკვიდროს და ჩვენ უკვე შევეგუეთ. (აფხაზეთიდან დევნილი, ბათუმი)

1990-1993 წლის დევნილები იხსენებენ იმ ნეგატიურ შედეგებსაც, რომლებიც დედაქალაქსა და მუნიციპალიტეტებში იძულებით გადაადგილებული პირების ჩასახლებას მოყვა, თუმცა უფრო მეტად, აპელირებენ მათი ჩამოსვლის და არა აწმყო პერიოდზე. მოცემული შედეგები თითქმის არ იკვეთება 2008 წლის დევნილების მაგალითებზე. ამბობენ, რომ თავდაპირველად, დევნილთა დიდ ნაკადთან შეგუება არ ყოფილა ადვილი. იძულებით გადაადგილებული პირები აღიქვეს, როგორც სტუმრები, რომლებიც მალე სახლში დაბრუნდებოდნენ. რესპონდენტთა ეს ნაწილი თვლის, რომ მძიმე მატერიალური ფონისა და რამდენიმე ომის გამო, რომლებიც ქვეყანამ ბოლო ათწლეულებში გადაიტანა, მოსახლეობას უჭირდა დევნილთა გაჩენასთან შეგუება, რადგან

- კიდევ უფრო მცირდებოდა ისედაც შეზღუდული რესურსები, გაიზარდა კონკურენცია სამუშაო ადგილებსა და მიწაზე;
- ადგილობრივ მოსახლეობას გადაუწურა იმედი, რომ კომპაქტური დასახლების ობიექტები პირველად ფუნქციას დაიბრუნებდა და ადგილზე ისევ შეიქმნებოდა სამუშაო ადგილები (ძირითადად, სანატორიუმები);
- შეცვალა\დაამახინჯა ქალაქების დაგეგმარება და იერსახე, რომლებიც არ იყო გათვლილი მოსახლეობის ესოდენ გაზრდილ რაოდენობაზე;
- თვითმმართველობის ორგანოებისთვის გაიზარდა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

კითხვაზე „დღეს რა პირობების დაკმაყოფილებაა მნიშვნელოვანი დევნილთა უკეთესი ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის?“ ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა პასუხებში ერთგვაროვანი ტენდენციები იკვეთება. უპირველესად, მნიშვნელოვანია ურთიერთობები/კავშირების უზრუნველყოფა და საზოგადოებასთან ადაპტაცია - „თუ მეყოლება ნაცნობები, მექნება პერსონალური კონტაქტები და მეყოლება მეგობრები იქ, სადაც ვცხოვრობ“ ყველაზე მაღალი წილით გამოიკვეთა (28%-42%), რაც აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი ინტეგრაციას რესპონდენტები კულტურულ-ტრადიციულ ღირებულებებთან მეტად აიგივებენ, ვიდრე, მატერიალურ ან ეკონომიკურ დამკვიდრებასთან ამა თუ იმ ადგილზე. თუმცა, დასაქმების შესაძლებლობისა (22-25%) და ეკონომიკური მდგომარეობის (24-35%) წილი, საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის, კვლევის შედეგებით, ასევე აქტუალურია.

დიაგრამა 15. რა პირობების დაკმაყოფილებაა მნიშვნელოვანი თქვენთვის, რათა გაიზარდოს თქვენი ინტეგრაციის ხარისხი საზოგადოებაში ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას?



ადეკვატური დასაქმებისა 28%-43% და შემოსავლების 29%-38% პრობლემები მიმდინარე პერიოდში, კვლევის მონაწილე რესპონდენტებისთვის, წამყვან პოზიციებს იკავებს. უნდა აღნიშნოს, რომ ნაცნობებისა და კონტაქტების პრობლემები 17%-19% კვლევის მონაწილეთა შორის, კვლავ აქტუალურია, რასაც იწვევს საცხოვრებლის ცვლილების სიხშირე, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა თუ სხვა მიზნებით.

დიაგრამა 16. ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანი თქვენს მიერ დასახელებული პირობებიდან, რომლის საჭიროებას განიცდით დღეს?



რაც შეეხება, სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში დევნილთა უფლებრივ მდგომარეობას, რაც სახელმწიფოს მიერ ინტეგრაციის გადამწყვეტ ნორმად ჩამოყალიბდა, ზემოთ განხილულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადია, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ირღვევა. კვლევაში ჩართული დევნილების ინფორმირების მკაფიოდ დაბალი ხარისხი სტრატეგიის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის რაობისა და შინაარსის შესახებ, ცხადყოფს, მისი ქმედითობისა და პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირების ხარისხს.

4.6 ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოსაზრებები

კვლევაში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებებით, აშკარა მანიფესტაციაა დევნილთა გამოწვევების დასაძლევად შემუშავებული და წლების მანძილზე აპრობირებული უშედეგო მეთოდები. მაგალითად, სტრატეგიულ დოკუმენტში პერმანენტულად მახვილდება ყურადღება დევნილთათვის მინიმალური მატერიალური პირობესბის შექმნაზე, როგორც მუდმივ საზრუნავზე, თუმცა, ამ შინაარსის პრაქტიკული მნიშვნელობა წლების განმავლობაში უცხოა დევნილებისთვის. გადამწყვეტი მნიშვნელობა დევნილთა ინტეგრაციისთვის მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობას არ მოაქვს, არამედ, არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც დევნილების, ასევე, საზოგადოებისთვის ეფექტური ამოცანების დასახვას და შესრულებას. ამ მხრივ, რამდენიმე განსხვავებული მიდგომა გამოიკვეთა:

„დევნილთა ხმა“ ინსტიტუციებში – დევნილთა წარმომადგენლობების დეფიციტი სახელმწიფო ინსტიტუტებში, რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანი პრობლემაა და ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი. რადგან დევნილთა წარმომადგენლობები მუნიციპალიტეტებში, სამინისტროებში, პარლამენტში სახელმწიფოს მხრიდან, მათ მნიშვნელოვნებაზე უსვამს ხაზს და შესაბამისად, ვრცელდება საზოგადოებაზე.

> *1999 წლიდან მოყოლებული დევნილებს ამ ქვეყანაში არ აქვთ ხმა. დევნილებს არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტი, არცერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, არც მათი სამინისტრო, რომელიც ახლა საერთოდ აღარ არის, არც მათი მთავრობა და არც დეპუტატები. ჩემთვის ამას, პირველ რიგში, აქვს სიმბოლური დატვირთვა - ეს არის განცდა რომ ჩემი ხმა არის იქ. გარდა ამისა, საზოგადოება და თავად დევნილები თვლიან, რომ სახელმწიფომ ჩათვალა დევნილები განსაკუთრებული მიდგომის ღირსად. დღეს კი, როცა დევნილთა სამინისტროსაც კი აუქმებენ, დევნილების პრობლემატიკის ორბიტიდან გაქრობის მცდელობას ჰგავს.*

დევნილთა გამოსვლა მუდმივი უძლურების ნარატივიდან – ტრავმული გამოცდილებისა და მუდმივი გლოვის კონტექსტიდან დევნილთა გამოსვლა, რესპონდენტთა ნაწილ მნიშვნელოვნად მიაჩნია. მათი აზრით, ჩართვა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში, რომელიც არ იქნება მხოლოდ კონფლიქტებისა და ტერიტორიული მთლიანობის თემატიკით შემოფარგლული. დევნილთა სამოქალაქო აქტიურობის წარმატებული შემთხვევები პოზიტიურ ნიადაგს შექმნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი კიდევ უფრო ფართოდ ჩართვის თვალსაზრისით. სხვადასხვა მედიის დახმარებით, წარმატებული დევნილის იმიჯზე აქცენტები დევნილთა მეორეხარისხოვან, მოწყალების ამარა დარჩენილ მოქალაქეთა სტერეოტიპის საპირისპიროდ, რაც შექმნის აქტივობისა და ინიციატივის გამოჩენის მოტივაციას.

> *მნიშვნელოვანია დევნილთა გამოსვლა მუდმივი უძლურების ნარატივიდან. ეს აუცილებლად გაზრდის მათი აქტიურობისა და თვითდახმარების უნარებს. გარდა ამისა, მედია საშულებებით, მაგალითად, ტელევიზიით, როგორც ყველაზე პოპულარული საშუალებით, ნებისმიერი მიმართულებით დევნილთა წარმატებების გაშუქება, საზოგადოების ცნობიერებაზე პოზიტიურად იმოქმედებს და ცრურწმენებსა და სტერეოტიპებს შეამცირებს.*

დევნილებსა და სამთავრობო უწყებებს შორის კომუნიკაცია – რესპონდენტთა ნაწილი თვლის, რომ მნიშვნელოვანია, სამთავრობო უწყებების კომუნიკაცია დევნილებთან, რადგან მათში გაღვივებულია შიში, რომ საერთაშორისო დონორებმა ბოლო პერიოდში მიატოვეს და სამთავრობო უწყებებში აქტუალობაზე ეს ფაქტორი გავლენის მქონეა.

> *ცხადია, დროთა განმავლობაში დონორების მხრიდან დაფინანსების შემცირება შეიმჩნევა. ბოლო დრომდე, ყველაზე მსხვილ დონორებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენდნენ, რომლებმაც ქართველი დევნილებისთვის განსახლების მრავალი პროგრამა დააფინანსეს, მაგრამ უცხოური დაფინანსება თანდათანობით იწურება, რისი ძირითადი მიზეზიც, შესაძლოა საკითხის ხანდაზმულობაა. მითუმეტეს, რომ დღეს თავად ევროპა დგას ლტოლვილთა დიდი ნაკადის პრობლემის წინაშე, რაც მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების ამ მიმართულებით გადანაწილებას მოითხოვს.*

რესპონდენტების საუბრიდან ჩანს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა არ ყოფილა თანმიმდევრული აფხაზეთიდან გადაადგილებული პირების მიმართ, აქტივობები ფრაგმენტული და ნაკლებად შედეგიანი იყო. რესპონდენტების აზრით, დევნილების დაბინავებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების გაჭიანურებით, სახელმწიფომ ხელი შეუშალა მათ ინტეგრაციას, დიდხანს დატოვა ისინი არ მხოლოდ დევნილის, არამედ, სტუმრის როლშიც. გამოკითხულები ამბობენ, რომ დღეს ისინი ხედავენ შექმნილი სახელმწიფო სტრატეგიისა და მიმდინარე პროცესების მნიშვნელოვნებას, თუმცა ვერ ივიწყებენ სახელმწიფოს მხრიდან სუსტ მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას წლების განმავლობაში - გამოკითხულების აზრით, ამის მაგალითად, დევნილებისთვის გამოყოფილი უკიდურესად მცირე დახმარების თანხაც კმარა.

4.7 დაბრუნება

2008 წლის ომის შემდეგ დევნილთა ახალი ნაკადის გაჩენამდე, მთავრობის ორიენტაცია მკაფიოდ მიემართებოდა დაბრუნების კონცეფციისკენ. არსებობს მოსაზრებები, რომ იმ პერიოდში დევნილთა ადგილობრივი ინტეგრაციის მაჩვენებელი არსებითად დაბალი იყო, რადგან ადგილობრივი ინტეგრაციის როლის გაფართოება დაბრუნების კონცეფციასთან შეუთავსებლად ითვლება. ადგილობრივ საზოგადოებასთან დევნილთა ასიმილაციისა თუ იმ პერიოდისთვის გადაცემულ განსახლების ადგილებში ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნით, უფრო და უფრო ნაკლებად მოისურვებდნენ დაბრუნებას.

ბოლო პერიოდში გასაჯაროებული სოციო-პოლიტიკური კვლევები, სადაც ჩანს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები, დროსთან ერთად საზოგადოებაში აქტუალობას კარგავს, მიმდინარე კვლევის მონაწილე რესპონდენტთა მსჯელობის თანმიმდევრობა არსებულ საჭიროებებზე, რაოდენობრივი მაჩვენებლები, დაბრუნების საკითხებთან მიმართებაში, აჩვენებს, რომ დევნილებში დაბრუნების საკითხებზე მსჯელობამ სპონტანური ხასიათი დაკარგა, თუმცა მნიშვნელოვნება იკვეთება მიზანმიმართულად კონკრეტული საკითხის მიმართ განწყობების განხილვისას. მიუხედავად დევნილი პირების გაჭიანურებული იძულებით გადაადგილებისა, რის გამოც მათ რთულ სოციო-ეკონომიკურ პირობებში უწევთ ცხოვრება და რაც თავის მხრივ, ეწინააღმდეგება დევნილების წარსულში განცდილ პოზიტიურად დატვირთულ ცხოვრებას, მიუხედავად უდიდესი დანაკარგისა, დევნილა მოცემული მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც გაურკვევლობის ან მარგინალობის მდგომარეობა.

მნიშვნელოვანია, რომ დევნილთა უმრავლესობა ინარჩუნებს ოპტიმისტურ განწყობას და იმედს, დაბრუნების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. 90-იანი წლების დევნილთა 75% და 2008 წლის დევნილთა 75% თვლის, რომ დევნილობამდე საცხოვრებელ სახლში სამუდამოდ დაბრუნების შესაძლებლობა მიეცემა. უარყოფით დამოკიდებულებას, კატეგორიული ფორმულირებით 2008 წლის დევნილთა 5% და 90-იანი წლების დევნილთა 12% აფიქსირებს.

დიაგრამა 17. ფიქრობთ თუ არა, რომ შეძლებთ დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას სამუდამოდ?



კვლევის შედეგად ჩანს, რომ დევნილობის ხანგრძლივობის მიუხედავად, ორივე სამიზნე სეგმენტში პირვანდელ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების გადაწყვეტილება უფრო პოზიტიურია, ვიდრე თავშეკავებული, მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა ნაწილს შესაძლებელია არ აქვს საცხოვრებელი. ცალკე განხილვის თემაა, როგორ შეიცვლება მონაცემები, რეალური ფაქტობრივი გარემოებების შექმნისას. რესპონდენტთა მცირე ნაწილი, დღესვე აცხადებს, რომ „სიტუაციას გააჩნია“ ან „პირველ ეტაპზე გაუჭირდება დაბრუნება“.

დიაგრამა 18. როგორია თქვენი განწყობა დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების მიმართ?



კითხვაზე „რა არის დაბრუნების სურვილის მთავარი მიზეზი?“ რესპონდენტთა პასუხები რამდენიმე მნიშვნელოვან პასუხში ერთიანდება:

- დევნილობის პირველი დღიდან მხოლოდ დაბრუნებაზე ვფიქრობ (სულ 46%);
- ცხოვრებისთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან მთელი ემოციები ჩემს საცხოვრებელთან არის დაკავშირებული (სულ 37%);
- ჩემი სახლი ხომ იქ არის (სულ 38%);
- დღემდე ნათესავები და მეგობრები მელოდებიან (სულ 17%);
- ჩემი ოჯახის წევრების/ახლობლების საფლავები იქ არის (სულ 63%);
- ჩემმა შვილებმა არ იციან მშობლიური მხარის შესახებ არაფერი (სულ 15%).

ისინი, ვინც დევნილობამდე საცხოვრებელ სახლში დაბრუნებას უარყოფს, ამჟამინდელ განწყობას შემდეგნაირად ხსნიან;

- იქ არაფერი გამაჩნია, ყველაფერი დავკარგე (28%)
- სრულიად უცხო გარემოა, ყველა ჩემი ახლობელი და მეგობარი აქ არის (26%)
- არ ვიცი, რამდენად უსაფრთხო იქნება იქ ცხოვრება ჩემი ოჯახისთვის (18%)
- არაფერი ვიცი იქ არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ (10%)
- კიდევ ერთხელ ვერ დავიწყებ ცხოვრებას თავიდან (7%)
- ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მაძლევს ამის საშუალებას (16%)
- გამბედაობისთვის მჭირდება რომ ჩემიანები დაბრუნდნენ და არ ვიცი, მათ აქვთ თუ არა გადაწყვეტილი (12%).

დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებისთვის კვლევის მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა ახლობლებისა და მეგობრების დაბრუნებას მნიშვნელოვან მოტივაციურ ფაქტორებს შორის ასახელებს (76-82%). საკმაოდ მნიშვნელოვანია რესპონდენტებისთვის უსაფრთხოების გარანტიები სახელმწიფოსგან - გამოკითხულთა ნახევარზე მეტი, თითოეული სეგმენტიდან უსაფრთხოებას გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვან გავლენის მქონედ და შესაბამისად, ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სამიზნე ჯგუფის მესამედზე მეტის პასუხებიდან ჩანს, რომ მთავარია დაბრუნების შესაძლებლობა, რაც მათი გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებაა - ტერიტორიების დაბრუნება. მატერიალური ხასიათის პირობებზე, ცხადია, დღეს დევნილებს უჭირთ, რადგან დაბრუნების შესაძლებლობამდე, პირობების უმეტესობა მათთვის შესაძლებელია, მხოლოდ თეორიული ნაწილი იყოს.

დიაგრამა 19. დღევანდელი გადასახედიდან, რა პირობების დაკმაყოფილებაა თქვენთვის მნიშვნელოვანი, დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებისთვის?



4.8 დასაქმება და განათლება

როგორც კვლევამ გამოავლინა, იძულებით გადაადგილებული პირების შემოსავლები უკიდურესად არასტაბილური და მწირია. ეს დაახლოებით, თანაბრად ეხება 2008 წლის კოლექტიურ დასახლებებში მცხოვრებ დევნილებს, რომლებიც ქალაქთან ახლოს, თუმცა, დასაქმებისთვის საკმაოდ დაშორებულ ცენტრებში ცხოვრობენ. ზოგადად, რესპონდენტების დიდი ნაწილის გადმოცემით, მათი შემოსავალი არ ჰყოფნის ან გაჭირვებით ჰყოფნის მხოლოდ ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

თვისებრივი კვლევის შედეგად ასევე, გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი პრობლემა დევნილთათვის დასაქმების საკითხებია. საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირების საწყისი ეტაპის უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობები, იძულებით გადაადგილებულ პირთა მასობრივმა უმუშევრობამ კიდევ უფრო გაართულა და დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

შრომისუნარიანი ასაკის პირების მასობრივი უმუშევრობა ერთნაირად მწვავეა როგორც აფხაზეთიდან, ასევე ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახებისათვის. ბუნებრივია, უმუშევრობა მათში ეკონომიკური დაუცველობის რისკს ზრდის და ამ საკითხზე ყველაზე მტკივნეულად საუბრობენ. ძნელი წარმოსადგენი არ არის იმ ოჯახების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, სადაც შრომისუნარიანი წევ-რების უმრავლესობა ან ყველა წლობით უმუშევარია. არსებული ვითარება კიდევ უფრო დამაფიქრებელია იმის გამო, რომ ქალაქებში მაცხოვრებელი როგორც 1990-1993 წლების, ასევე, 2008 წლის ომის შედეგად დევნილები, მხოლოდ ფულად შემოსავლებზე არიან დამოკიდებულნი. თუმცა, მეორე მხრივ, ქალაქში მაცხოვრებელთა დასაქმების დაბალი მაჩვენებლები ცხადყოფს, სოფლად დასაქმების განსაკუთრებით მძიმე პირობებს.

რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უმუშევრობა რესპონდენტების უმრავლესობისთვის ყველაზე მწვავე პრობლემაა (40-52%). დევნილთა ოჯახებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კომუნალური გადასახადები (45-58%) და როგორც არაერთხელ აღინიშნა, საბინაო პირობები (35-54%). ფაქტობრივად, დევნილთა პრობლემები, ზოგადად, საზოგადოების დიდი ნაწილის ყოველდღიურობის თანმდევ გამოწვევებს იმეორებს, როგორიცაა ფინანსური შემოსავლისა და გასავლის თანაფარდობა, რაც ტანსაცმლის, ავეჯის და ა.შ. ნივთების შეძენას ზღუდავს. ამასთან, საკმაოდ აქტუალურია საბანკო სესხებისა და კრედიტების შედეგად, დევნილებში არსებული პრობლემები (20-28%).

ლოგიკურია, რომ ამგვარ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების უმრავლესობას სხვადასხვა საჭიროებისთვის, ვალიც აქვს აღებული. თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა ნაწილის გადმოცემით, ვალად აღებული თანხის ოდენობა არ არის მცირე. მითუმეტეს, თუ სესხი უცხო პირისგან, კერძო კომპანიისგან ან ბანკიდან აქვთ აღებული და სესხის დაფარვის გარდა, პროცენტის გადახდაც უწევთ. რესპონდენტები, რომლებიც უმუშევრობისა და უძრავი ქონების არარსებობის გამო, ვერ ახერხებენ ბანკებთან ურთიერთობას, დახმარების მიღების წყაროდ, ლომბარდებს ირჩევენ. გამოკითხვისას რამდენჯერმე დასახელდა კონკრეტული წყარო.

დიაგრამა 20. ჩამოთვლილი პრობლემებიდან რომელი მათგანი აწუხებს თქვენს ოჯახს ყველაზე მეტად?



კვლევის შედეგებით, გამოკითხული რესპონდენტების ნაწილს არ აქვს შრომითი საქმიანობის გამოცდილება. უმუშევარ მოსახლეობას დიდი სირთულეები ხვდება სამუშაო ადგილის ძიებისას. ნაწილი ვერ პოულობს თავისი პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაფერ სამუშაოს. დაახლოებით ნახევარი, პროფესიისა და კვალიფიკაციის მიუხედავად, ვერანაირ სამუშაოს ვერ პოულობს. სხვა სირთულეებიდან დასახელდა მეტისმეტად დაბალი ხელფასი, უცხო ენის უცოდინრობა, ასაკი.

კვლევის შედეგად ჩანს, რომ 1990-1993 წლების დევნილთა 68% და 2008 წლის დევნილთა 76% ამჟამად უმუშევარია.

დიაგრამა 21. ხართ თუ არა ამჟამად დასაქმებული?



უმუშევრობის მიზეზებს შორის, ზოგადად, საქართველოში დასაქმების პრობლემების არსებობა, პირველ ადგილზეა (1990-1993 წლების დევნილები -48%, 2008 წლის დევნილები - 60%). რესპონდენტთა თითქმის ამდენივე რაოდენობა დასაქმებისთვის პროტექციის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას - „არ მყავს გავლენიანი ნაცნობები ნათესავები, რომლებიც დამეხმარებოდნენ სამუშაოს დაწყებაში“ 45-58%. 90-იანი წლების დევნილთა მესამედზე მეტი და 2008 წლის დევნილთა ნახევარზე მეტი რაოდენობა პროფესიისა და ხელობის არქონას მიჩნევს დასაქმების პრობლემის მიზეზად. ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედი საკუთარ მოთხოვნებზე მორგებული სამსახურების სიმწირეს უსვამს ხაზს და იგივე რაოდენობა თვლის, რომ დღეს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები მათ შესაძლებლობებს არ შეესაბამება.

რატომ არ ხართ დასაქმებული ამ ეტაპზე?	1990-1993 წლების დევნილები	2008 წლის დევნილები
ზოგადად, ქვეყანაში არ არის სამუშაო ადგილები	48%	60%
არ მყავს გავლენიანი ნაცნობები ნათესავები, რომლებიც დამეხმარებოდნენ სამუშაოს დაწყებაში	45%	58%
არ მაქვს პროფესია/ხელობა (სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევების ნაკლებობა)	35%	54%
რთულია იპოვო ისეთი სამსახური, რომელიც მე მსურს, მომწონს	20%	28%
დამსაქმებლები იმაზე დიდ სამუშაო გამოცდილებას ითხოვენ, ვიდრე მე მაქვს	20%	28%
სამუშაოს მაძიებელთა პასიურობა ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია	18%	28%
არ მაქვს ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ	18%	30%
არ ვიცი როგორ წარვადგინო ჩემი მონაცემები პოტენციურ დამსაქმებელთან	17%	6%
ვერ ვიპოვე სამსახური ისეთი ანაზღაურებით, როგორიც მსურს	16%	32%
ოჯახის წევრებს მეგობრებს არ სურთ, რომ ვიმუშაო	16%	12%
ოჯახური ვალდებულებები მიშლის ხელს	15%	22%
ჩემს ქალაქში არ არის დასაქმების სააგენტო, ან ორგანიზაცია, რომელიც დამეხმარებოდა სამუშაოს ძებნაში	15%	24%
ვარ სტუდენტი და ვერ ვათავსებ სწავლას და დასაქმებას	14%	4%
ვერ ვიპოვე ჩემი ცოდნის/უნარების შესაბამისი სამსახური	10%	18%
არ მაქვს სათანადო კვალიფიკაცია, იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც მე მომეწონებოდა	10%	25%
ვშიშობ, დავკარგო დევნილებისთვის განკუთვნილი დახმარება/ სოციალური შემწეობა	8%	12%
დევნილებისთვის დასაქმება განსაკუთრებით რთულია	6%	9%
დამსაქმებლები ვაკანტური პოზიციისთვის არაადეკვატურად მაღალ კვალიფიკაციას ითხოვენ, რაც ჩემი აზრით არ არის საჭირო	2%	4%

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ დასაქმების დაბალი შესაძლებლობების გამო, რესპონდენტთა ნაწილი, არსებითად, სახელმწიფოს მხრიდან გაცემულ ფულად დახმარებაზეა დამოკიდებული. ოჯახის შემოსავალი, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, საარსებო მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს.

გამოკითხულები საკუთარი საქმის შენარჩუნებისა და განვითარების ხელისშემშლელ უმთავრეს მიზეზებად ასახელებენ კაპიტალის უკმარისობას, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის სიმცირეს.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე რესპონდენტების ნაწილი დასაქმებულია სხვადასხვა სახით, თუმცა, ხშირ შემთხვევებში დასაქმება მათთვის მაინც არ წარმოადგენს საკმარის ეკონომიკურ გარანტიას. ისინი, ვინც სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობენ, დაბალი ხელფასების გამო გამოთქვამენ უკმაყოფილებას. ამასთან, მუდმივი რეფორმების გამო მუდმივი რისკის ქვეშ არიან. ასევე, ადამიანებს, რომლებიც კერძო სექტორში ან დღიურ სამუშაოზე არიან დასაქმებულნი, თავისი გაურკვევლობა და რისკი ახლავს.

კვლევამ აჩვენა, რომ როგორც მთელ საქართველოს შრომის ბაზარზე, ისე დევნილებშიც დიდია სტრუქტურული უმუშევრობის მასშტაბები. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია იმ უწესრიგობით, რაც არსებობს პროფესიული მომზადების სისტემაში, მეორე მხრივ კი, მოსახლეობის დამახინჯებული წარმოდგენით ამა თუ იმ პროფესიის მიღების შემდეგ დასაქმების შესაძლებლობებზე. მაგალითად, ეკონომისტის ან იურისტის სპეციალობის მიღება, მათი აზრით, ყველაზე მეტ შანსს იძლევა შრომის ბაზარზე დამკვიდრებისათვის. შექმნილი ვითარების მესამე მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ პროფესიული მომზადების დაბალი ხარისხი (პედაგოგები, ინჟინრები).

მიუხედავად იმისა, რომ რაიმე სამართლებრივი ან ადმინისტრაციული შეზღუდვები იძულებით გადაადგილებულ პირთა შრომის უფლებასთან დაკავშირებით არ არსებობს, ისინი მაინც მიუთითებენ მთელ რიგ დაბრკოლებებზე, რომლებიც მათ ხვდება სამუშაოს ძებნისას და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოებისას:

- **სამუშაო ადგილების სიმწირე;**
- **სათანადო უნარ-ჩვევების არქონა;**
- **მიწაზე ხელმიუწვდომლობა;**
- **საკუთარი ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო რესურსების არქონა ან კრედიტებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა;**
- **ნეპოტიზმი.**

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცირეა კერძო საწარმოების რიცხვი. უფრო მეტად, ეს არის მცირე ზომის ჩაის, თხილის, ხის სახერხი საწარმოები, სადაც სამუშაო არ არის მუდმივი. როგორც გამოკითხულები ამბობენ, იძულებით გადაადგილებული პირები, ძირითადად, ვაჭრობით ირჩენენ თავს. დევნილები საქმიანობენ ადგილზე ან არის შემთხვევები, როდესაც დევნილი ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი ვაჭრობს სხვა ქალაქში და იქიდან არჩენს ოჯახს. დევნილების ნაწილს აქვს საკუთარი სავაჭრო ობიექტი, ნაწილი კი ამ ობიექტებში უბრალოდ, მუშაობს ან ბაზარში ვაჭრობს. იძულებით გადაადგილებული პირები, შესაბამისი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას ნაკვეთში მუშაობისას, შეშის დაჩეხვაში და იღებენ შესაბამის ანაზღაურებას. ისინი, ვინც ფლობს კონკრეტულ ხელობას, შესაბამისი საქმიანობით ირჩენენ თავს, თუმცა, რესპონდენტებმა ვერ დაასახელეს ხელობა, რომელზეც მუნიციპალიტეტებში, მაღალი მოთხოვნაა.

დევნილების აქცენტირებულად დახმარება, დასაქმების თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტებს არ შეუძლიათ, რადგან, ერთი მხრივ, ეს შეუძლებელია სამუშაო ადგილების ფიზიკური არარსებობის გამო, მეორე მხრივ კი, იძულებით გადაადგილებული პირების დიდი რაოდენობისა და მათი ტერიტორიაზე უკვე დიდი ხნის მანძილზე ცხოვრების გამო, რათა იდენტური პრობლემების მქონე ადგილობრივი მოსახლეობა

არ გააღიზიანონ, თუმცა ამბობენ იმასაც, რომ თუ სხვადასხვა პროექტები ამის შესაძლებლობას იძლევა, იძულებით გადაადგილებულ პირებს დასაქმების არანაკლები შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა გამოკითხულის ოჯახისთვის მნიშვნელოვანია 45 ლარიანი დევნილთა დახმარება, ამას უფრო ჰუმანიტარული დატვირთვა აქვს, ვიდრე ფინანსური სარგებელი. რესპონდენტები იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას, ოდენობიდან გამომდინარე, შემოსავლად არ მიიჩნევენ. შემოსავლის ძირითად წყაროდ მხოლოდ პენსიას და ხელფასს ასახელებენ.

რესპონდენტები, რომლებიც დევნილთა საკითხებზე მუშაობენ თვლიან, რომ დევნილობის საწყის პერიოდში ჰუმანიტარული დახმარებებისა და ფულადი კომპენსაციების ინტენსივობამ, დევნილები ერთგვარად დამოკიდებული გახადა დახმარებებზე, რაც მათი უმუშევრობის მაჩვენებლების ერთ-ერთი მიზეზია. მაგალითად, დევნილებში თვითდასაქმებულთა მცირე რაოდენობა, ინიციატივიანობა, სხვადასხვა პროგრამებში ჩართულობის მიმართ ინდიფერენტული დამოკიდებულება, რესპონდენტთა აზრით, დევნილთა გარკვეული რაოდენობის „გაზარმაცებული ბუნების შედეგია“.

> *სრულწლოვანი რომ გავხდი, ე.ი. დასაქმებაზე მე თვითონ უნდა ვიზრუნო. ოჯახი შევქმენი, მე უნდა ვშრომობდე. რატომ თვლიან, რომ მათ წინაშე ყოველთვის ვიღაც არის დახმარებაზე ვალდებული. ძალიან ბევრი არ იყენებს საკუთარ შესაძლებლობებს. დევნილებმა ცოტა უფრო მეტად უნდა დავიწყოთ, ამ მსხვერპლის როლიდან გამოსვლა. პოსტკონფლიქტური სინდრომია სულ გაჭირვებაში ყოფნის სურვილი და დახმარების მოლოდინი.*

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო აქტივობიდან მიღებული შემოსავლების შედარებით მცირე ხვედით წილს, გარკვეულწილად, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ სოფლის მეურნეობას, რესპონდენტები ნაკლებად განიხილავენ პირდაპირი შემოსავლის წყაროდ - ერთი მხრივ, მენტალურად, შემოსავლის წყაროდ, ხშირად, განიხილება საქმიანობა, რომელიც გულისხმობს ხელფასის მიღებას არა თვითდასაქმებით, არამედ, ანაზღაურებადი დასაქმების შედეგად, მეორე მხრივ კი, როგორც კვლევამ უჩვენა, გამოკითხულ დასახლებებში ნაკლებად ხდება სასოფლო-სამეურნეო აქტივობების შედეგად მიღებული პროდუქციის რეალიზაცია, ”ფულად” ქცევა.

როგორც რესპონდენტები ამბობენ, რამდენიმე წლის წინ, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის არსებობდა შეზღუდვები - მათ არ შეეძლოთ კერძო საკუთრებაში ჰქონოდათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ამჟამად ეს შეზღუდვა არ არსებობს და დევნილებს შეუძლიათ მიწა აუქციონზე შეიძინონ, თუმცა მათ ამის ფინანსური შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ. ამ მიზნით, რამდენიმე დევნილი ზოგჯერ ერთად იძენს მიწას და ერთობლივად ცდილობს საარსებო წყაროს მოპოვებას.

სამიზნე კომპაქტურ ჩასახლებებში მიწის რესურსის სიმცირე სერიოზული პრობლემაა. დევნილებს შეუძლიათ შეიძინონ მიწები, თუმცა ბევრ მათგანს ამის საშუალება არ აქვს. სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმცირესთან ერთად, პრობლემურია მათი ნაკლები მოსავლიანობაც, რის მიმართაც იძულებით გადაადგილებული პირები, განსაკუთრებით სენსიტიურები არიან. ამ მიზეზით, სოფლის მეურნეობა არ არის იძულებით გადაადგილებული პირების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო.

საქმიანობითა და დახმარებების სახით მიღებული შემოსავალი რესპონდენტებს მხოლოდ კვებისთვის ჰყოფნით. გადასახადების გადახდას, ტრანსპორტისთვის თანხის დაზოგვას, ტანსაცმლის შეძენას, როგორ ახერხებენ, თავადაც უჭირთ დაკონკრეტება. რესპონდენტებისთვის ყველაზე დიდ პრობლემას მაღალი გადასახადები წარმოადგენს.

> *გადასახადების დაფარვას ერთი ოჯახის წევრის მთელი თვის შემოსავალი სჭირდება. ძირითადად კი, ოჯახის ერთი წევრი მაინც თუ არის დასაქმებული, წარმატებულ ოჯახად ითვლება.* (ცხინვალიდან დევნილი, გორი)

უნდა აღინიშნოს ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ კოლექტიურ დასახლებებში გადასახლებულ დევნილების მდგომარეობა, რომელთაც მოუწიათ გეოგრაფიული მდებარეობის შეცვლა და თვლიან, რომ განსაკუთრებით დიდი პრობლემები ექმნებათ დასაქმებასთან მიმართებაში.

ბათუმში წყალტუბოდან გადასახლებული დევნილების გადმოცემით, გადასახლებამდე დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან მიიღეს დაპირებები დასაქმების თაობაზე, თუმცა, დაპირება არ შესრულებულა. ასეთივე კომენტარს აკეთებს ფოთში სხვა რეგიონებიდან გადასახლებული დევნილები.

> *გვითხრეს ირგვლივ სულ მშენებლობებია და დასაქმდებითო. გაგვიხარდა. ერთ დღეს მივაკითხეთ მშენებლობას და თურქი მენეჯერი დაგვხვდა. მშენებლობაზეც სულ თურქები მუშაობენ. ჩვენი ადგილი ჯერ ვერსად მოიძებნა. ეს ხომ აშკარა ტყუილია?!* (ბათუმი, ბენზე)

> *ფოთში დასაქმებას რა უნდაო, გადმოსახლებამდე გვითხრეს. ზღვაა და თევზაობით თავს ირჩენთო. თევზაობას ცოდნა, გამოცდილება უნდა. შესაბამისი აღჭურვილობა, წყლის ტრანსპორტი. ისიც კი გვითხრეს, „სადაც ხართ, აქ როგორ ცხოვრობდით, იქაც ირჩენთ თავსო.“ დამოკიდებულება უფრო გვაბრაზებს, თორემ დასაქმების პრობლემა რომ ქვეყანაში დღეს ყველაზე მტკივნეულია, ვიცით .* (ფოთი, მალთაყვა)

დევნილი ახალგაზრდები სრულად არიან ინტეგრირებულნი საზოგადოებაში და დასაქმებისას მათ ბარიერები არა აქვთ. მათ მიაჩნიათ, რომ ადგილობრივ და დევნილ მოსახლეობას ადგილობრივ შრომის ბაზარზე დასაქმების თანაბარი შანსი აქვს.

კვლევამ აჩვენა, რომ ცოდნის, უნარებისა და დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით, რესპონდენტთა უმრავლესობა იმ მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს, რომლითაც შრომის ბაზარი ხასიათდება. მაგალითად, გამოკითხულთა 67%-ს 90-იანი წლების დევნილებში და 60%-ს 2008 წლის დევნილებს შორის, არ აქვს რეზიუმე. კვლევის მიმდინარეობისას, კონკრეტული კითხვა რესპონდენტებში იწვევდა მოულოდნელ რეაქციებს. კერძოდ, დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებდა, რეზიუმეს შედგენის აუცილებლობას.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა თავად შეაფასეს საკუთარი შესაძლებლობები. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ საკუთარი კომპეტენციები, ცოდნა და უნარები არ შეესაბამება დამსაქმებელთა მოთხოვნებს.

კითხვაზე „ახლა რომ შემოგთავაზონ კონსულტაცია, ტრენინგი, სასწავლო პროგრამა, ვორქშოპი, მასტერკლასი რა მიმართულებით ისურვებდით ცოდნის მიღებას?” რესპონდენტთა პასუხებიდან ჩანს, რომ ამ მხრივ აქტივობის სურვილი საკმაოდ მაღალია. რესპონდენტების უმრავლესობას პროექტების წერაში დახელოვნება, ან რაიმე პრაქტიკული ხელობის/სპეციალობის შესწავლა სურს (35-50%). საერთო ჯამში კვლევის მონაწილეთა 12%-ს არ სურს არანაირი შინაარსისა და პროგრამის ტრენინგებსა და ვორქშოპებზე დასწრება, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია განსაკუთრებით იმ პირობებში, სადაც კვლევა რესპონდენტების მხრიდან, საკუთარი უნარ-ჩვევების დაბალ შეფასებებს აჩვენებს.

დიაგრამა 22. რამდენად შეესაბამება თქვენი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები დასაქმებისთვის საჭირო მოთხოვნებს?



აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (75%), მოკლევადიან საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობას, პირისპირ რეჟიმში უფრო ოპტიმალურად მიიჩნევს, ვიდრე დისტანციურ სწავლებას, როგორც მეტად ეფექტურს და შედეგიანს.

რესპონდენტებს არ აქვთ ინფორმაცია დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების შესახებ. ნაკლებად ენდობიან დასაქმების სააგენტოებს, შესარჩევ კონკურსებსა და, განსაკუთრებით, სახელმწიფო დასაქმების საიტებს. რესპონდენტთა გადმოცემით, დასაქმების სააგენტოები ხშირად მხოლოდ ვაკანსიებისა და უმუშევრების რეგისტრაციის როლს უფრო ასრულებენ, ვიდრე დამსაქმებლისა და უმუშევრის ურთიერთდაკავშირების ფუნქციას, რის გამოც მათი საქმიანობა ნაკლებ ეფექტურია.

თვისებრივი კვლევის მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ უპრიანია, აქცენტირება მოხდეს ისეთ ხელობებში გადამზადებაზე, რაც საწარმოების სიმცირის ვითარებაში, იძულებით გადაადგილებული პირების თვითდასაქმებას შეუწყობს ხელს.

რესპონდენტების აზრით, გამოკითხული მუნიციპალიტეტების ძირითადი საჭიროება მინი ფაბრიკებისა და ქარხნების შექმნაა, განსაკუთრებით, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მიწების მწვავე ნაკლებობას განიცდიან, შემდეგ კი, შესაძლებელია, დევნილების გადამზადება იმ სპეციალიზებულ მიმართულებებში, რომლებიც ამ საწარმოებს ექნებათ.

რესპონდენტები ყველაზე პერსპექტიულად გამოკითხულ მუნიციპალიტეტებში მცირე სასოფლო-სამეურნეო (განსაკუთრებით, ხილის გადამამუშავებელი) საწარმოების შექმნას თვლიან, თუმცა, ამ მიმართულებით, სახელმწიფოს ან არასამთავრობო\საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მოიაზრებენ.

დიაგრამა 23. ახლა რომ შემოგთავაზონ კონსულტაცია, ტრენინგი,სასწავლო პროგრამა, ვორქშოპი, მასტერკლასი რა მიმართულებით ისურვებდით ცოდნის მილებას?



სოფლის მეურნეობა ის მიმართულებაა, რომელში მუშაობის ყველაზე დიდი ტრადიცია არსებობს. ამავდროულად, ამ სფეროში რესპონდენტები ყველაზე მეტად გრძნობენ, პირველ რიგში, საკუთარ თავზე და არა უცხო ადამიანებზე ან გარემო პირობებზე დამოკიდებულებას. ამიტომ, რესპონდენტების აზრით, სასურველია, იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიოთ რეკომენდაცია, როგორ აითვისონ მიწა უფრო ეფექტურად, როგორც შექმნან ფერმერული მეურნეობები, თუმცა რესპონდენტების აზრით, გადამზადება მაინც ნაკლებად ეფექტური იქნება, თუ მას არ მოყვა თუნდაც მცირე დაფინანსება, რაც დევნილებს საშუალებას მისცემს, საკუთარი საქმის დასაწყებად, თავდაპირველი მინიმალური საჭიროებები მაინც დაიკმაყოფილონ.

- რესპონდენტებმა ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად გადამზადებისთვის ხეზე მუშაობა დაასახელეს. მათი თქმით, მუნიციპალიტეტებში არსებობს ხის გადამამუშავებელი საამქროები, რადგან საქართველო ზოგადად მდიდარია ხე-ტყით. შესაბამისად, პერსპექტიულად თვლიან ხის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოების შექმნასაც.

- რესპონდენტების აზრით, შესაძლებელია ჭრა-კერვის კურსების ორგანიზებაც, რამაც შეიძლება სამკერვალოების შექმნას ჩაუყაროს საფუძველი, თუმცა, როგორც ავეჯის წარმოების, ასევე სამკერვალო საწარმოს შემთხვევებში, რესპონდენტებს არ აქვთ ჩამოყალიბებული აზრი, რამდენად შეიძლება დასახელებული საწარმოები მომგებიანად იქცეს.

- სამეგრელოში პერსპექტიულ მიმართულებებად ასევე სახელდება მეჩაიეობა. მართალია, ჩაის გასაღების ბაზრის მოძიებასაც რესპონდენტები სკეპტიკურად უყურებენ, თუმცა, ამის მიუხედავად, გამოკითხულთა ნაწილს ეს კულტურა, წარსული გამოცდილებით და გარკვეული ინერციით, მაინც პერსპექტიულად მიაჩნია.

- რესპონდენტები ტურიზმის პოტენციალზეც საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტებს აქვს შესაბამისი რესურსები და ტრადიცია.

გამოკითხულმა დევნილებმა სურვილი გამოთქვეს, მოხდეს სხვადასხვა თემატური წრეების ორგანიზება სკოლის მოსწავლეებისთვის, რადგან მათთვის განათლების მიღების შესაძლებლობა, ძირითადად, მხოლოდ სკოლით შემოიფარგლება.

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხები კვლევის ის ნაწილია, რომელზეც რესპონდენტებს პასუხები არ აქვთ. აღსანიშნავია, რომ კვლევაში ჩართულ რესპონდენტთა მოსაზრებები ერთგვაროვანია:

- რესპონდენტთა ბავშვების უმრავლესობა დღეს ადგილობრივ სკოლებში დადის, რომლებიც საქართველოს განათლების სისტემაშია ინტეგრირებული;

- სკოლის დასრულების შემდეგ უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებს სწავლას.

- დაბალი პოპულარობით სარგებლობს პროფესიული სასწავლებლები, რომლებიც რეალურად, სწორედ ყველაზე აქტიურ რგოლს უნდა წარმოადგენდნენ, დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის საკითხებში.

ორგანიზაციის წარმომადგენლების ნაწილის აზრით, იმისათვის, რომ დევნილებმა შეძლონ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, საჭიროა მათთვის ზოგადი უნარჩვევების სწავლება, როგორიცაა, ბიზნეს გეგმის/პროექტის შედგენა, ინფორმაციის მოძიება/საბაზრო მოკვლევა, ბიზნეს მართვა, საგადასახადო საკითხები, რათა მათ იგრძნონ საკმარისი ინფორმირებულობით გამოწვეული თავდაჯერება მცირე ან

საშუალო ბიზნესის წამოსაწყებად. ამასთან, ზოგადი უნარ-ჩვევების გარდა, დიდია დევნილთა შორის ნაწილი, ვინც საჭიროებს დარგობრივ გადამზადებას - აუცილებელია მათთვის კვალიფიციური სწავლების ორგანიზება.

რესპონდენტები თვლიან, რომ დიდია იმ დევნილების რაოდენობა, ვისაც უკვე გააჩნიათ დიდი გამოცდილება და უნარ-ჩვევები, თუმცა საჭიროებენ მათ დადასტურებას, რათა უფრო მარტივი წვდომა ჰქონდეთ შრომის ბაზარზე. ამიტომ მნიშვნელოვანია დაფინანსდეს ექსპერტთა დაქირავება სხვადასხვა დარგში, შეფასების სისტემის შემუშავება და სერტიფიცირების სისტემა, რომელიც შეთანხმებული და აღიარებული იქნება შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით. ამავდროულად, მხედველობაშია მისაღები კანონი პროფესიული სწავლების შესახებ, რაც ახალ შესაძლებლობებს ქმნის პროფესიული სწავლების კუთხით.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსისა და საბაზრო მოთხოვნების ურთიერთდაკავშირების ეფექტური მექანიზმის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ შექმნილი „ვორქნეტი“ ფუნქციონირებს, უმთავრესი გამოწვევაა უნარ-ჩვევების დადასტურება. სწორედ ამიტომ, დევნილთა ბაზა, რომელიც სანდო და გასაგები კრიტერიუმით მიუთითებს ადამიანის უნარ-ჩვევებს და კვალიფიკაციას, და რომლის მეშვეობითაც მოხდება ბიზნესის საჭიროებების მიხედვით სხვადასხვა დევნილის დამისამართება/რეკომენდირება, იქნებოდა მნიშვნელოვანი მექანიზმი დასაქმების ხელშესაწყობად.

4.9 სხვა დამატებითი საკითხები

იძულებით გადაადგილებული პირები იღებენ დევნილის დახმარებას ან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფის დახმარებას. თავის მხრივ, დევნილის სტატუსს რესპონდენტები მეტ დაცულობას უკავშირებენ - გამოკითხულების განმარტებით, ზოგიერთ მათგანს აქვს მოლოდინი, რომ დევნილის შემწეობის მოხსნასთან ერთად, შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსიც. ამასთან, მათ იციან, რომ დევნილის სტატუსი გადამოწმებას არ ექვემდებარება, განსხვავებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფის სტატუსისგან, რომელიც ყოველთვის შეიძლება იქცეს გადახედვის საგნად.

კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 74%-ს დევნილთა დახმარების შეწყვეტის თაობაზე, 2017 წლის შემდეგ, როდესაც მთავრობამ შეცვალა კონკრეტული ინიციატივა, არსებობს რისკ-ფაქტორი, განმეორებით მოინდომონ სტატუსის ჩამორთმევა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დევნილთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი პირობებით ან ფულადი კომპენსაციით დასრულდება. თუმცა, მოცემული საკითხი რესპონდენტთა მცირე ნაწილის ვარაუდს წარმოადგენს. გამოკითხულები თვლიან, რომ მთავრობა „ვერ გარისკავს“ სტატუსის ჩამორთმევას, რადგან დევნილთა სოლიდური რაოდენობა საარჩევნო პერიოდში მათთვის პრობლემებს შექმნის.

დევნილთა 80% დევნილთა დახმარების შეჩერების წინააღმდეგია. ნეიტრალური დამოკიდებულება, რაც კვლევაში რესპონდენტთა მეათედზე მცირედით მეტი რაოდენობით განისაზღვრა, ძირითადად, ახალგაზრდებისგან მოდის. განსაკუთრებით, 90-იანი წლების დევნილი ახალგაზრდების ნაწილისთვის, როგორც აღინიშნა სტატუსი ძირითადად, მათი სამშობლოს ისტორიის შემადგენელი ნაწილია და არა ინდივიდუალური კუთვნილება.

დიაგრამა 24. როგორია თქვენი დამოკიდებულება დევნილთა დახმარების შეჩერების თაობაზე?



მეორე მხრივ, საინტერესოა, რომ დევნილ მოსახლეობაში საკმაოდ პოპულარულია სოციალური სტატუსი, რომელიც მათ ეკონომიკურ მოწყვლადობას განსაზღვრავს. სოციალური სტატუსის მოთხოვნა, გაცილებით მაღალია, დევნილების დახმარების ოდენობისგან სოლიდური განსხვავების გამო. თუმცა, ფოკუს ჯგუფი მონაწილეები იმის საილუსტრაციოდ, რომ ეკონომიკური სიდუხჭირე დევნილი მოსახლეობის მახასიათებელი არ არის და დევნილებს და ადგილობრივ მოსახლეობას ერთნაირად უჭირს, რესპონდენტებს ის მაგალითიც მოყავთ, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა პროგრამაში დასარეგისტრირებლად ორივე კატეგორიის მოსახლეები ერთნაირად აკითხავენ მუნიციპალიტეტებს, ხშირად კი მათ შედეგიც ერთნაირი აქვთ.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჯანდაცვის სერვისის მიმართ გამოხატული კმაყოფილების გამო, რესპონდენტები მინიმალურად საუბრობენ კონკრეტულ საკითხზე. ჯანდაცვის საკითხებს რესპონდენტებისთვის სათანადოდ უზრუნველყოფს საყოველთაო დაზღვევა. მიუხედავად იმისა, რომ დევნილის სტატუსი დამატებით შეღავათებს არ ითვალისწინებს, რესპონდენტები პრეტენზიებს არ გამოხატავენ.

გამოკითხული რესპონდენტების გათვითცნობიერებულობა თავიანთ უფლებებში დაბალია, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა საკითხებზე, ასევე, განსახლების პირობების შესახებ ინფორმაციის ცნობადობის დონესა და მათ პრაქტიკულ ნაწილზე. უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული შედეგები უფრო მეტად შესაძლოა ინტერპრეტირდეს როგორც რესპონდენტების მზაობა ასეთი აქტივობისთვის და არა როგორც პრაქტიკულად გამოხატული კონკრეტულ ქმედებებში.

ფოკუსური ჯგუფების მუშაობისას რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ პრობლემების წარმოშობისას, მათ ყველაზე ხშირი შეხება ჰქონდათ კორპუსის კომიტეტის თავმჯდომარეებთან, რომელიც წარმოადგენს გამაშუალებელ რგოლს მუნიციპალიტეტსა და დასახლებას შორის, მიაქვს პრობლემები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებამდე. მართალია, რესპონდენტების ნაწილი უკმაყოფილოა მათი მუშაობით და თვლის, რომ ისინი ნაკლებად ქმედითები იყვნენ („არიან პასიურები ან არ სურთ შესაძლო

დაპირისპირება ან უსიამოვნებები მუნიციპალიტეტთან“), მაგრამ ესენი ის ადამიანები არიან, რომელიც იცნობს ჩასახლების გასაჭირს „შიგნიდან“.

ამჯერად, ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ ბინებში კომიტეტის თავმჯდომარეების ინსტიტუტი გაუქმებულია. კვლევის შედეგები არ ადასტურებს მათ მოტივაციას მისი აღდგენის თაობაზე, თუმცა რჩება ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან დამაკავშირებელი/შუამავალი რგოლის არსებობის სურვილს გამოხატავენ.

აღინიშნა, რომ პირდაპირ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს რესპონდენტები შედარებით იშვიათად მიმართავდნენ, ძირითადად, სპეციფიკური, ნაკლებად ყოველდღიური პრობლემების გადასაჭრელად (დევნილობის მოწმობის აღება, ახალი კოტეჯის მიღება, ვინმეს ქორწინება ან გარდაცვალება, რისთვისაც ფულადი დახმარებაა გათვალისწინებული). თუმცა, ბოლო პერიოდში კოლექტიურ ცენტრებში დევნილების შესახლებამ, ამ მხრივ მათი მიმართვიანობა გაზარდა. რესპონდენტთა მიმართვიანობა ძირითადად, მიღებული ფართის სიმცირით ან ბინების განაწილებასთან დაკავშირებული პრეტენზიებით არის გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობების, დევნილების უფლებების, განსახლების პირობების შესახებ ინფორმაციის მიმართ ინდიფერენტული დამოკიდებულება, წარსული გამოცდილებითაა გამოწვეული. ერთი მხრივ, უიმედო დამოკიდებულება ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების გულისხმიერი დამოკიდებულების მიმართ, მეორე მხრივ, კი პრობლემათა სიმრავლე, რომელიც ამ მიმართულებით დევნილთა აქტივობას აფერხებს, მათ საზოგადოებრივ პასიურობას ხსნის. ამ მიდგომას რესპონდენტები ასე გამოხატავენ:

- *„პრეტენზია გამოვთქვით ფართებთან დაკავშირებით და გვითხრეს, თქვენ რა გაქვთ სათქმელი, ხალხი ჯერ კიდევ სად ცხოვრობს და თქვენ ახალ ბინებში შეგასახლეთო.“* (ბათუმი, ბენზე)

- *„ხალხი ფოცხოში შევასხლე და თქვენ რა პრეტენზიები გაქვთო“, სამინისტროს წარმომადგენლებმა გვიპასუხეს“* (ფოთი, მალთაყვა)

- *„ქუთაისის შტაბი (ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლობა), ხალხის დამცველი კი არა მთავრობის დამცველია, რამე პრეტენზია გაქვს და იქ დამთავრდა მათი ურთიერთობა შენთან.“* (ქუთაისი, ნიკეას ქ.)

- *„აზრი არ აქვს. კანონებსა და უფლებებზე ინფორმაციის ფლობას. რაც მეტი იცი, მით მეტად ბრაზობ უსამართლობაზე. არადა, განცხადებას დაწერ, რაღაცას მოითხოვ, კანონის ფარგლებში და გვერდზე გადადებენ.“* (თბილისი)

- *„დიაბეტი მაქვს, მუდმივად წამლებზე ვარ, თუმცა არა ინსულინზე. განცხადება რომ დავწერე ჯანმრთელობის პოლისზე, ინსულინზე არ ხარ და არ დამაკმაყოფილეს. არაფერს არ ითვალისწინებენ. რა აზრი აქვს რაიმეს თქმას? მოყვა რამე შედეგი? თბილისამდეც კი მივედი რაღაც პრობლემით, მაგრამ უშედეგოდ. ამას ხომ უნდა პატრონი, თანხა, დრო, ნერვები, გამძლეობა?!“* (ბათუმი, ლეონიძის 15)

უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია, დევნილთა აქტიური მონაწილეობით ხელი შეეწყოს დაბრუნების მექანიზმებისა და სამართლიანობის შესახებ ფართო საზოგადოებრივ დისკუსიას, რომელიც ინფორმაციის სანდო წყაროებზე იქნება დაყრდნობილი.

რესპონდენტებმა კვლევის ბოლოს დაასახელეს ის ძირითადი საკითხები, რაც მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და რეკომენდაციის სახით დააფიქსირეს არსებული საჭიროებები. საინტერესოა, რომ კვლევის შედეგად მიღებული რესპონდენტთა მოთხოვნები, ფაქტობრივად, ზოგადად, ადგილობრივი მაცხოვრებლების მოთხოვნების იდენტურია და უშუალოდ, დევნილთა სარგებელი არცერთი დებულების შინაარსში არ იკვეთება.

გთხოვთ დაასახელოთ ის მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება, ყველაზე მეტად ესაჭიროება თქვენს ოჯახს	
ბინის/სახლის რემონტი	**19.1%**
კომუნალური გადასახადების შემცირება	**15%**
სოციალურად დაუცველი ოჯახების მედიკამენტებით უზრუნველყოფა	**11.7%**
დევნილთა პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინტენსიური ინფორმირება	**10.6%**
სერვისების შესახებ მეტი ინფორმაციის მარტივად და დროულად ხელმისაწვდომობა	**9.4%**
წყალსარინების მოწესრიგება	**8.6%**
მედია-საშუალებებში დევნილთა საკითხებზე ხშირი მსჯელობა	**8.3%**
დევნილთა დასახლებებში სკვერების/ბაღების/სპორტული მოედნების კეთილმოწყობა	**6%**
მეტი კომუნიკაცია დევნილებთან თვითმმართველობების მხრიდან და ზრუნვა მათი პრობლემების მოგვარებაზე/ნდობის მოპოვება მოსახლეობაში	**5.1%**
სანიაღვრეების მოწესრიგება	**4.6%**
სასწავლო პროგრამების შემუშავება/ პროფესიული სასწავლებლების გააქტიურება დევნილებთან მუშაობის პროცესში	**4.6%**
მეტი კომუნიკაცია ახალგაზრდებთან და მათი სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობა/მეტი ხელშეწყობა ახალგაზრდებს	**4.3%**
სანიტარული ნორმების დაცვა/ურნების დამატება კოლექტიურ დასახლებებში/ ქუჩების და ურნების სველი წესით დასუფთავება	**4.3%**
მიჭირს პასუხის გაცემა	**20%**

5. რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია განსახლების პროცესის გამჭვირვალეობა და ამ პროცესში საზოგადოების თანამონაწილეობის უზრუნველყოფა;

- საჭიროა სახელმწიფო კონტროლის გამკაცრება საცხოვრებელი სახლების მშენებლობის და რეაბილიტაციის ხარისხზე, მათ შორის, გონივრული ვადების დაცვა;

- მნიშვნელოვანია სოციალ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების დროს უზრუნველყოფილ იქნეს დევნილთა ჩართულობა, განსაკუთრებით, დევნილთა თემით დასახლებულ მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში.

- მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურების დევნილ საზოგადოებასთან დიალოგის რეჟიმში ყოფნა. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ შეხვედრებში ჩართულობა, როგორც დევნილთა მოთხოვნა;

- საჭიროა დაზუსტდეს იმ დევნილი ოჯახების რიცხვი, რომელთაც სახელმწიფოსგან არაფერი მიუღია - შემუშავდეს გეგმა, მომავალში რა ტიპის ღონისძიებები შეიძლება შესთავაზოს მათ სახელმწიფომ;

- მნიშვნელოვანია, რომ დევნილთა მიმართ მიდგომები და პოლიტიკა იყოს ორგანიზებული შესაძლებლობებისა და წარმატებული მაგალითების გარშემო. ვინაიდან დევნილთა თემში არსებული ვითარება არ წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ კანონით გამყარებულ დეფინიციას ინტეგრაციის შესახებ, რაც ხელს უწყობს დევნილთა თემში დამოკიდებულების გაღვივებას და ავტონომიურად მოქმედების პარალიზებას.

- მნიშვნელოვანია დევნილთა დასახლებებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის შეღავათიანი ბიზნეს გარემოს შექმნა;

- მნიშვნელოვანია თემზე ორიენტირებული, მდგრადი და პასუხისმგებლიანი ბიზნესის განვითარების კომპლექსური ხელშეწყობა. ამასთან, დევნილთა ნაწარმის გაყიდვის ხელშეწყობა, უფრო ფართო მასების მოზიდვა, რათა პერმანენტული სახე ჰქონდეს წარმატების მაგალითების შექმნას, ჯერ კიდევ აქტუალური სტერეოტიპების მსხვრევისთვის.

- მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან იმ დამსაქმებელთა წახალისების მექანიზმების შემუშავება, ვინც დევნილთა დასაქმებას უწყობს/შეუწყობს ხელს;

- სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული უნდა გახდეს უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის საზღვარგარეთის სასწავლო პროგრამებში, დევნილი ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობის კრიტერიუმების გამოკვეთა.

- მნიშვნელოვანია დევნილი საზოგადოების ინტელექტუალური და პროფესიული პოტენციალის გამოვლენა და მათ რესურსებზე დაყრდნობით რეალური ინტეგრაციული მიდგომების განხორციელება;

- მნიშვნელოვანია სრულყოფილი სამთავრობო კოორდინაციის მექანიზმის არსებობა, რათა შესაძლებელი იყოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტების სრულყოფილი აღწერა და მათი თანმიმდევრულობის შეფასება. საჭიროა არსებობდეს დაფინანსებული სუბიექტების

შესახებ ინდივიდუალური მონაცემები და პროექტის/პროგრამის შესრულების აღწერა, სამომავლოდ დაფინანსების ობიექტის შერჩევისას გასათვალისწინებელი ფაქტორების უკეთ განსაზღვრისთვის. აღნიშნული საჭიროება ეფუძნება გავრცელებულ მოსაზრებას, რომ დაფინანსებული პროექტებისათვის გამოყოფილი თანხები ხშირ შემთხვევებში არამიზნობრივად იხარჯება.

- აუცილებელია დევნილი საზოგადოების სამშვიდობო და საზოგადოებრივ პროცესებში აქტიური ჩართულობის მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება. მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს დაბრუნების მექანიზმებისა და სამართლიანობის შესახებ ღონისძიებებს, მათ შორის, ფართო საზოგადოებრივ დისკუსიას.

- მნიშვნელოვანია დევნილთა საკითხების მოგვარებაზე პასუხისმგებელი რეგიონული სტრუქტურების ადეკვატური/ქმედითი უფლებამოსილებებითა და პასუხისმგებლობებით დატვირთვა, დევნილთა საკითხების გადასაჭრელად მათი ფუნქციური როლის უზრუნველყოფისთვის. ამასთან, დევნილთა თემის ჩართულობის უზრუნველყოფა.

- მნიშვნელოვანია დევნილთა წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფა მთავრობასა და სახელმწიფო უწყებებში, გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებთან დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობის კორელაციების უზრუნველსაყოფად.

- მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის ჩართულობის გაძლიერება, წლიურ ანგარიშებში დევნილთა პრობლემების მკაფიოდ ასახვა, რაც ზოგადად, სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტების განსაზღვრის წინაპირობაა.

- მნიშვნელოვანია შემუშავდეს და განხორციელდეს საჭიროებებზე დაფუძნებული საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია დევნილებისთვის ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის სახელმწიფო და არასამთავრობო პროგრამების შესახებ, როგორც ინფორმირების, ასევე უშუალოდ დევნილთა პასუხისმგებლობების ხელშეწყობის მიზნით.